ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 2017

№217 (7452)

ფასი: 50 თეთრი

**გიორგი კვირიკაშვილი: „სააკაშვილი ქვეყნის ძალიან სამწუხარო წარსულია“**

გვ.4



13 სექტემბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



# კახა კალაძის შტაბთან ლადო სადღობელაშვილი დააკავეს

## ქართული მარშის წევრებმა სოროსის ფონდის ოფისს მაშხალები ესროლეს

გვ.3



## მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი ძალიან სუსტია“

გვ.3

უკრაინის შსს ოდესის ყოფილი გუბერნატორის დაკავებაზე უარს ამბობს



## ირაკლი კობახიძე: „ოპოზიციას შანსი ჰქონდა, სიკეთე გაეკეთებინა, მაგრამ მათ პოზიტიური როლი ვერ შეასრულეს“



გვ.2



## „პოროშენკომ საქართველოს ხელისუფლება გაასულელა“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ნაციონალებისა და „ევროპული საქართველოს“ დაპირისპირება სასაცილოა“



## 2018 წლიდან სათამაშოების უსაფრთხოებას კანონი დაარეგულირებს

გვ.6





## პეკინის ქუჩა ავტომანქანებისთვის ცალმხრივი იქნება

გვ.6



გვ.6

## აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში ხვალიდან ავიაცია ჩაერთვება

## „ქვეყანა ტურისტების გაზრდილი რაოდენობის მისაღებად მოუმზადებელი აღმოჩნდა“

გვ.6



ISSN 1987-9385

შორენა მარსაგიშვილი

# „პოროშენკომ საქართველოს ხელისუფლება გაასულელა“

## გია ხუხაშვილი: „ნაციონალებისა და „ევროპული საქართველოს“ დაპირისპირება სასაცილოა“





**შეცვლის თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგს, რა პროცესები დაიწყება მისი ექსტრადირების შემთხვევაში, არის თუ არა მზად ამისთვის „ქართული ოცნება", რა ხდება ყოფილი ხელისუფლების რიგებში? – ამ თემებზე ექსპერტი გია ხუხაშვილი „ახალ თაობას" ესაუბრება.**

***– ბევრი მიიჩნევს, რომ უკრაინაში სააკაშვილის შეჭრის შემდეგ პოლიტიკური პროცესები საქართველოშიც შეიცვლება. თქვენი პროგნოზი როგორია?***

– ძალიან უცნაურ რაღაცას ვამბობ, მაგრამ უკრაინული პოლიტიკიდან საქართველოში სააკაშვილის გადმოსროლა არ მოხდება. მე მის ექსტრადირებას არ ველოდები. ის აუცილებლად უნდა წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე და ჩადენილ დანაშაულებზე აგოს პასუხი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ჭკვიანურად და ჩვენი დღის წესრიგით.

საქართველოს ხელისუფლებას მის წინააღმდეგ მყარი არგუმენტები უნდა ჰქონდეს. ახლა მისი ექსტრადირება იმას ნიშნავს, რომ პოროშენკოს თავისტკივილს ჩვენს თავზე ვიღებთ. იმედი მაქვს, ეს ახლა არ მოხდება და ამ კუთხით გამწვავებას არ ველოდები.

ამავე დროს, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ოფიციალური კიევი მის ექსტრადირებას შეეცდება. ახლა პოროშენკო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს პრობლემა საქართველოსკენ გადმოაგდოს.

***– საგანგებო პრესკონფერენციაზე პოროშენკომ განაცხადა, იმედი მაქვს, სააკაშვილი ისევე არ შეიჭრება საქართველოში, როგორც უკრაინაში შემოიჭრაო. ნაციონალები იმედოვნებენ, რომ ყოფილი პრეზიდენტი ასე მოიქცევა. არის ამის ალბათობა?***

– გამორიცხვით არაფერი არ უნდა გამოვრიცხოთ. ამ ეტაპზე სააკაშვილი უკრაინაში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. საქართველოში მას კარგად იცნობენ, შესაბამისად, აქ ხელმეორედ ფეხის მოკიდება და პოლიტიკური რეაბილიტაცია ბევრად რთული იქნება.

პოროშენკოს შეცდომების გამო უკრაინაში მისი რეაბილიტაციის შანსები გაჩნდა. სააკაშვილი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და ამ სიტუაციაში საქართველოში არ გადმოვა. თუ მაინც მოუწევს წამოსვლა, ეს სცენარიც დამუშავებული ექნება და ის ნამდვილად არ იქნება სახარბიელო.

***– ვისთვის არ არის სახარბიელო?***

– ჩვენი ხელისუფლებისთვის.

***– საქართველოს ხელისუფლება არ არის მზად სააკაშვილის დასახვედრად?***

– გარდა იმისა, რომ მზად არ არის, ამ სისულელეში ძალიან ბრიყვულად გაეჩხირა.

***– დიდ სისულელეში რას გულისხმობთ?***

– დიდი სისულელე იყო, ექსტრადირების საკითხზე პოროშენკოსთან რომ დაიწყეს თანამშრომლობა. უკრაინის პრეზიდენტმა შეცდომების მთელი კასკადი დაუშვა, ყველაფერი წააგო სააკაშვილთან მიმართებით. ერთადერთი, რაც შეძლო, იყო ის, რომ საქართველოს ხელისუფლება გააცურა.

ჩვენდა საბედნიეროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს ხელისუფლების გაცურება მთლად კარგად არ გამოსდის.

***– ნაციონალები რატომ არიან ასეთი დარწმუნებული, რომ სააკაშვილი საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება?***

– ნაციონალების განწყობა მესმის. ისინი ამაყობენ თავიანთი ლიდერით. მათი გადმოსახედიდან ნამდვილად აქვთ საამაყო. ფაქტია, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა წარმატებული ბლიც-კრიგი განახორციელა. გასაგებია, რომ საქართველოში ყველა თავისი გემოვნებით უყურებს მოვლენებს, მაგრამ, ცოტა ობიექტურობას თუ შევინარჩუნებთ, დავინახავთ, რომ სააკაშვილმა წარმატებული ნაბიჯები გადადგა.

მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები, ეს უკვე არ ვიცი. პოროშენკო ისეთ ცაიტნოტშია, რომ იძულებულია, სერიოზული ძალის დემონსტრირება მოახდინოს. ის თუ სისუსტეს გამოავლენს და ხალხი დაინახავს, რომ მეფე შიშველია, მაშინ მის ხელისუფლებას ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება. ცალსახა სიტუაცია ნამდვილად არ არის. ვერც იმას ვიტყვით, რომ სააკაშვილმა არ გარისკა. მან გარისკა და ამ გარისკვით მხოლოდ პირველი პარტია მოიგო. ომი ჯერ დასრულებული არ არის.

***– მის მიერ პირველი პარტიის მოგებისას ნაციონალები და „ევროპული საქართველოს“ წევრები ერთმანეთს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ. ნაციონალები ამბობენ, რომ კეზერაშვილმა, რომელიც ახლა „ევროპულ საქართველოს“ აფინანსებს, მილიონები მოიპარა. ეს დაპირისპირება სააკაშვილთან რაიმე კავშირშია?***

– ეს დაპირისპირება სააკაშვილის გამოჩენას არ უკავშირდება. ეს სხვა და ძალიან მარტივი ისტორიაა. ჩემი აზრით, საქმე წინასაარჩევნო დაპირისპირებასთან გვაქვს.

დავით კეზერაშვილი მართლა შოულობდა მილიონებს. ყოფილი ხელისუფლება თვლიდა, რომ ეს მისი პირადი ფული კი არ იყო, არამედ, პარტიის სალარო. ნიკა მელიას ეს მილიონები ახლა იმიტომ გაახსენდა, რომ კეზერაშვილმა ნაციონალური მოძრაობა გადააგდო და სხვა პარტიას აფინანსებს. შესაბამისად, გადაგდებული პარტია თვლის, რომ მათ კეზერაშვილმა ფული მოჰპარა.

არადა, ეს ადამიანი თავად კი არ შოულობდა ამ ფულს, ეს იყო წინა ხელისუფლების მიერ სანქცირებული ბიზნესები. ნაციონალების პრეტენზიები აბსოლუტურად გასაგებია.

ჩვენი გადმოსახედიდან ამ შიდა გარჩევების ყურება ძალიან სასაცილოა. თუმცა, არც ისე სასაცილო, რადგან ეს ფული მოგვპარეს ჩვენ. ხალხისთვის მოპარულ ფულს ერთმანეთში ველარ იყოფენ და ამ თემის საჯარო განხილვა დაიწყეს.

***– სააკაშვილის თემა კარგა ხანს არ დაკარგავს აქტუალობას. „ქართული ოცნება“ თუ შეეცდება ამის გადაფარვას? ერთხელ თქვენ თქვით, ქვეყანა გადაფარვის პრინციპით იმართებაო.***

– ქვეყანა მართლა ასე იმართება, მაგრამ გადაფარვის უნარიც არა აქვს ამ ხელისუფლებას. გადასაფარი თემის ძებნით ამჯერად თავს არ შეიწუხებენ, კარგად იციან, რომ თვითმმართველობის არჩევნები მათთვის პრობლემატური არ იქნება.

ამომრჩეველი მხოლოდ ხელისუფლებით კი არა, მთლიანად პოლიტიკური ელიტით არის იმედგაცრუებული. მოსახლეობა თვლის, რომ პოლიტიკური ელიტა მთლიანად უვარგისია, შესაბამისად, არ არის არჩევანი. ამომრჩეველი ამბობს, რადგან არცერთი არ უქნიხართ ღმერთს, წინასწარ გადამიხადეთ და მოგცემთ ხმასო.

ამ მხრივ ხელისუფლებას დიდი უპირატესობა აქვს. მას ფულის გადახდის რესურსი მაქსიმალურად აქვს მობილიზებული. შესაბამისად, არჩევნების მოგების პრობლემა არ იქნება.

ერთადერთი ადგილი, სადაც მეტ-ნაკლებად არის ინტრიგა შენარჩუნებული, თბილისია. ესეც იმიტომ, რომ თბილისელი ამომრჩეველი იაფად არ გაიყიდება. ამის გარდა, თბილისელი ამომრჩეველი არა ვინმესთვის, არამედ ვიღაცის ჯინაზე ხმის მიცემაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, დედაქალაქში სიურპრიზები მოსალოდნელია.

ასე რომ, გადაფარვის საჭიროება ახლა არ არის, თუმცა ჩვენი ხელისუფლების ქმედებების გათვლა შეუძლებელია.

***– რატომ არის შეუძლებელი?***

– მათ მიერ დაშვებული შეცდომების რაოდენობა კრიტიკულზე მაღალია. მე პოლიტიკური ნაბიჯების პროგნოზირება შემიძლია, შეცდომების პროგნოზირება კი შეუძლებელია.

მართლა არ ვიცი, ხვალ რა სისულელეს გამოაგდებენ. აგერ იმხელა შს მინისტრს ტელეფონზე ვიკილიქსი გაუთამაშეს. ვიმეორებ, ახლა გადაფარვის აუცილებლობა არ არის, მაგრამ „ოცნება“ ტლაპოში ჩახტომისკენ არის მიდრეკილი. რაც არ უნდა ფართო და გაწკრიალებულ გზაზე მიდიოდნენ, სადღაც იპოვიან ტლაპოს და შიგ ჩაცვივდებიან.

# ირაკლი კობახიძე: „ოპოზიციას შანსი ჰქონდა, სიკეთე გაეკეთებინა, მაგრამ მათ პოზიტიური როლი ვერ შეასრულეს“

ნათია ხურცილავა

**გუშინ, 12 სექტემბერს, თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ევროპის გამოწვევებს ეხებოდა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი საკონსტიტუციო რეფორმა იყო. საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს კითხვები დაუსვეს.**



გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ კონსტიტუციის ახალი პროექტი შეთანხმების შედეგია.

პრემიერმა აქცენტი ოპოზიციის პოლიტიკურ დღის წესრიგზე გააკეთა, რომლითაც ხელმძღვანელობს ოპოზიცია, თუმცა, იქვე დასძინა, რომ შეიძლება ახალი კონსტიტუციის პროექტი იდეალური არ იყოს.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ჩვენ მივიღეთ პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება და ეს ადვილი ნამდვილად არ იყო. გვქონდა ცხარე დისკუსია. მაგალითად, კონსტიტუციის ცვლილებამდე პრემიერ-მინისტრის შეცვლა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ეს წინა ხელისუფლების მიერ გაკეთდა, რადგან წინა პრეზიდენტს სურდა პრემიერობა. ახლა შევამცირეთ პროცედურები, რის შედეგადაც პრემიერის გათავისუფლების პროცედურა გამარტივდა. შეიძლება კონსტიტუცია არ იყოს იდეალური, მაგრამ, ოპოზიციის მიმართ პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი ძალიან სუსტია“

## უკრაინის შსს ოდესის ყოფილი გუბერნატორის დაკავებაზე უარს ამბობს



შორენა მარსაგიშვილი

**ახლო მომავალში მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის პროკურატურა ექსტრადირების საკითხს სწავლობს, ადგილობრივი შსს ჩვენებურის დასაკავებლად საფუძველს ჯერ ვერ ხედავს.**

შსს-ში აცხადებენ, რომ სააკაშვილი უკრაინის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფება, თუმცა მისი დაკავებისთვის საკმარისი საფუძველი არ არის.

გუშინ, 12 სექტემბერს, მას საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შესახებ ადმინისტრაციული პროტოკოლი გადაეცა. სააკაშვილის ადვოკატ მარკიან გალაბალას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის სასამართლო სააკაშვილზე შედგენილ ადმინისტრაციულ პროტოკოლს მიიღებს და სარჩელს დააკმაყოფილებს, შესაძლოა მისი ქვეყნიდან გაძევების საკითხი დღის წესრიგში დადგეს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის თანახმად, მას 130-დან 330 დოლარამდე ოდენობის ჯარიმა ემუქრება.

– მათ შეიძლება მიიღონ მისი უკრაინის ტერიტორიიდან გაძევების გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოტივაცია წმინდა ფორმალურად იქნება ის, რომ სააკაშვილმა უკრაინის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა, – ამბობს გალაბალა.

მისივე თქმით, კანონმდებლობის მიხედვით, პირს თუ მოქალაქეობა არ აქვს, საემიგრაციო სამსახურს საკმარისი მიზეზი ექნება იმისთვის, რომ მისი ქვეყნიდან გაძევება მოითხოვოს.

უკრაინის პროკურატურა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსტრადირების საკითხის შესწავლას განაგრძობს.

– მოთხოვნის მიღების შემდეგ საექსტრადიციო შემოწმებისთვის ყველა დოკუმენტი პროკურატურის ორგანოებში იქნა გადაგზავნილი. ეს მოსამზადებელი ეტაპია. თუ პროცესი დადებითად დასრულდება, კანონის გათვალისწინებით შემდეგი პროცედურები ჩატარდება.

თუ საქმე განიხილება წინასასამართლო გამოძიების ფარგლებში, მაშინ, რაღა თქმა უნდა, გადაწყვეტილებას ექსტრადირების შესახებ მიიღებს პროკურატურა, ჩვენს შემთხვევაში – გენერალური პროკურატურა, თუმცა, თუ ქვეყანაში, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია გადაცემის შესახებ, საქმე სასამართლო განხილვაშია, გადაწყვეტილებას იუსტიციის სამინისტრო მიიღებს, – განაცხადა უკრაინის იუსტიციის მინისტრმა პაველ პეტრენკომ.

ქვეყნის ვიცეპრემიერ ივანა კლიმპუშ-ცინცაძის თქმით კი, მას შემდეგ, რაც უკრაინაში მოგვარდება მიხეილ სააკაშვილის მიერ უკრაინის კანონდარღვევასთან დაკავშირებული საკითხები, დადგება აუცილებლობა, რომ ეს საკითხები ანალოგიურად საქართველოშიც მოგვარდეს.

– პრეზიდენტმა პოროშენკომ ეს სიტუაცია უკვე შეაფასა და მოითხოვს, პასუხი კანონის ფარგლებში იყოს გაცემული, რადგან ეს იყო უკრაინის საერთაშორისო საზღვრის დარღვევა. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი სამსახურები, რომლებსაც მსგავსი უკანონობებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ევალებათ, ამით დაკავდებიან.

ასევე მინდა შევახსენო ქართველ მაყურებელს, თუკი გვადევნებენ თვალს, რომ საქართველოს სახელმწიფომ ასევე მიმართა უკრაინის ხელისუფლებას უკრაინის ყოფილი გუბერნატორისა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ექსტრადიციის მოთხოვნით. დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც უკრაინაში კანონდარღვევის თემა დარეგულირდება, ასევე დადგება აუცილებლობა, მოგვარდეს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები ბატონი სააკაშვილისთვის, – აღნიშნა საგანგებო ბრიფინგზე კლიმპუშ-ცინცაძემ.

ჩვენებურის მიმართ აშკარად ანტიპათიურად არის განწყობილი უკრაინის შს მინისტრის მრჩეველი და შეთავსებით რადის დეპუტატი ანტონ გერაშენკო. მისი თქმით, სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება შეცდომა იყო. ამის შესახებ გერაშენკომ ფეისბუკის საკუთარ გვერდზე დაწერა.

მან სოციალურ ქსელში თბილისში 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის ფოტოებიც გამოაქვეყნა. დეპუტატი ეჭვობს, რომ ოდესის ყოფილ გუბერნატორს სურს, უკრაინაში გაიმეოროს 2011 წლის 26 მაისის ღამის დარბევა. ის ჩვენებურს ტირანად მოიხსენიებს.

– საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლება იდგა ძალადობასა და მუდმივ ტყუილზე. მისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება შეცდომა იყო, სააკაშვილი (საქართველოსთვის) იყო ის, რაც იანუკოვიჩი უკრაინისთვის – ტირანი და არეულობის მომწყობი. მისი მეთოდები არაფრით განსხვავდება იანუკოვიჩის, პშონკასა და ზახარჩენკოს მეთოდებისგან.

ბევრის მსგავსად, მეც თავიდან ვცდებოდი სააკაშვილის მიმართ მისი დანიშვნის პირველ თვეებში, თუმცა მოგვიანებით მივხვდი, რომ ის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს უკრაინისთვის და მისი ოპონენტი გავხდი.

მე შემიძლია ჩემი შეცდომების აღიარება და მოვუწოდებ სხვა უკრაინელ პოლიტიკოსებს, ვისაც სურს უკრაინის აყვავება, იგივე გააკეთონ.

ვაქვეყნებ ქართული ოპოზიციის 2011 წლის 25 მაისს ჩატარებული მიტინგების ფოტოს. იმ საღამოს ქართული პოლიციის უკანონო ქმედებების გამო დაიღუპა სამი ადამიანი, დაშავდა 40-ზე მეტი პირი.

ახლა კი სააკაშვილს სურს, იგივე სასაკლაო მოაწყოს უკრაინაში, გადასცეს რუსეთს და ლაჩრულად გაიქცეს? იქნებ „სააკაშვილის რეფორმის“ შედეგების ნახვისას ვილაც უკრაინელებს, რომლებიც ცინიკური ტყუილის ქვეშ მოექცნენ, აეხილოთ თვალი, – წერს გერაშენკო.

საქართველოს მესამე პრეზიდენტისგან განსხვავებით, მის მხარდამჭერებს არ გაუმართლათ. დავით საყვარელიძის ინფორმაციით, უკრაინაში სააკაშვილის მომხრეების მასობრივი დევნა დაიწყო.

ამ ბრალდებას დეპუტატი ანტონ გერაშენკო გამოეხმაურა. მისი მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილის დაკავებული მომხრე ალექსანდრ ბურცევი პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე მესაზღვრეებზე ძალადობდა.

– დავით საყვარელიძემ განაცხადა, რომ პროვოკატორ სააკაშვილის მომხრეების წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები დაიწყო. კერძოდ კი, დაკავებულია ალექსანდრ ბურცევი. როგორც ყოველთვის, დავითმა იცრუა და ის (მისი ფეისბუკპოსტი) სიამოვნებით გააზიარეს ძირითადმა უკრაინულმა მედიასაშუალებებმა ისე, რომ შეკითხვაც არ გასჩენიათ – რისთვის დააკავეს ალექსანდრ ბურცევი?

თუმცა, შეიძლება ვცდები და დავითმა არ იცის, რისთვის დააკავეს. შემიძლია დავეხმარო მას, მედიასაშუალებებსა და მოქალაქეებს ამ საკითხის გარკვევაში და ჩემი შეფასება მივცე სააკაშვილის „ბოევიკ-ტიტუშკას“ ალექსანდრ ბურცევის ქმედებებს.

ვიდეოზე ალექსანდრ ბურცევი (ულვაშებით, წვერითა და შავი ბერეტით) განსაკუთრებული ცინიზით, თავისი უდანაშაულობის ხაზგასმით, სცემს და ხელს ჰკრავს უკრაინის დამცველებს – მესაზღვრეებს, რომლებიც ასევე იცავდნენ უკრაინას ანტიტერორისტულ ოპერაციებში, – ასეთი განმარტებას აკეთებს დეპუტატი და შს მინისტრის მრჩეველი.

ჩვენებურს საერთოდ არ აინტერესებს, რას ამბობენ მასზე უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები. ის უკრაინის რეგიონების შემოვლას აპირებს.

– გავემგზავრები უკრაინის რამდენიმე რეგიონში. ვაპირებ, შევაგროვო ხალხის მოთხოვნები. მას შემდეგ, რაც დავუბრუნებ ხალხს ოლიგარქების მიერ მიტაცებულ ქონებას, გავემგზავრები სოფლებში და ხალხთან ერთად ჩავალ კიევში, რათა ეს მოთხოვნები უკრაინის ხელისუფლებას წარვუდგინო.

არ მაქვს პირადი კონფლიქტი პრეზიდენტ პოროშენკოსთან, არ ვაფასებ პრემიერ გროისმანს და ის ჩემი დამსახურებით არის პრემიერი, იმიტომ, რომ სწორად მოვიქეცი, როდესაც მოხსნეს თანამდებობიდან იაცენიუკი და შემდეგ ის დანიშნეს. ამ ადამიანებს დაავიწყდათ, რომ ჩემი დამსახურებით სხედან ამ სავარძლებში და ითხოვენ ჩემს დაპატიმრებას.

არანაირი კონფლიქტი არ მაქვს ავაკოვთან, მაგრამ კონფლიქტი მაქვს ამ სისტემასთან. ამიტომ მოვაგროვებ ყველა ამ ფაქტს, ხალხთან ერთად მივალ და შევქმნი ხელისუფლების შეცვლის ლეგალურ მექანიზმს.

გზაზე შეუძლიათ დამკითხონ, შეუძლიათ შემაფერხონ, მაგრამ არ მეშინია, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ლეგალურად იმყოფება. „უკვე ვერაფერი გამაჩერებს. იმ პირებს, რომლებიც ცდილობენ, მოახდინონ ჩემი იზოლირება, ჩემთან შეხვედრის შესაძლებლობა ექნებათ. აუცილებლად ჩავალ კიევში უახლოეს დღეებში ან კვირების განმავლობაში. ეს არის ჩემი პრინციპული პოზიცია, – აცხადებს სააკაშვილი.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ეტყობა, ხელისუფლების შეცვლას საქართველოსა და რუსეთშიც აპირებს და ამბობს, რომ ყველა თუ ერთად გავანძრევთ ხელს, პუტინს დედა აღარ ეყოლება, ბიძინა ივანიშვილს კი მშიშარას უწოდებს.

– ივანიშვილი ძალიან სუსტია. ის დგას მხოლოდ იმაზე, რა გამოგვივა. არაფრის მაქნისი არაა. ხომ ხედავთ, რამხელა ოლიგარქებს ვეკვეთე აქ, აქაც კი როგორ ყანყალებენ და ვინ არის ივანიშვილი. ოდნავ თითი თუ გაანძრიეს ქართველებმა, ცოტა თუ გამოიფხიკეს ყურები და თვალები, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ საქართველოში.

მინდა, ვუთხრა ქართველებს, რომ მე ერთი წუთით არ ვწყვეტ საქართველოზე ფიქრს. ვიცი, რაზე ვლაპარაკობ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ორივე გაერთიანდა და ორივეს მოსკოვთან აქვს კავშირი. პოროშენკო რუსეთში ახალ ობიექტებს აშენებს, ივანიშვილს როგორც ჰქონდა რუსებთან ურთიერთობა, ასევე აქვს. ორივე, საბოლოო ჯამში, ძირს უთხრის ორი ქვეყნის დამოუკიდებლობას. მე გავხდი სიმბოლო, ალბათ, ამ ორივე ქვეყანაში სხვებთან ერთად წინააღმდეგობისა და ბრძოლის. ამიტომ, რა თქმა უნდა, ისინი მე მებრძვიან. თუ ჩვენ საქართველოში და აქ აუცილებლად გავანძრევთ ხელს, თუ ყველა ერთად გავანძრევთ ხელს, იქაც და აქაც დამარცხდებიან, მერე უკვე პუტინსაც დედა აღარ ეყოლება, – განაცხადა რუსთავი 2-თან საუბარში მიხეილ სააკაშვილმა.

# კახა კალაძის შტაბთან ლადო სადღობელაშვილი დააკავეს

## ქართული მარშის წევრებმა სოროსის ფონდის ოფისს მაშხალები ესროლეს

შორენა მარსაგიშვილი

**ქართული მარშის გუშინდელი, 12 სექტემბრის აქცია საკმაოდ დრამატული გამოდგა. მათ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისს მაშხალები ესროლეს, კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან კი პოლიციასთან შეხლა-შემოხლა მოუხდათ.**

სწორედ ეს შეხლა-შემოხლა გახდა ქართული მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორის ლადო სადღობელაშვილის დაკავების მიზეზი.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა სადღობელაშვილს აკავებენ. ის ნაციონალების ოფისებთან გამართულ აქციებზე წინა წლებში რამდენჯერმე დააპატიმრეს.

ქართულმა მარშმა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსთან“ აქციის გამართვა ჯერ კიდევ ივლისში დააანონსა, კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან აქციის გამართვა კი მოგვიანებით გადაწყდა.

ქართული მარშის წევრები მეტროსადგურ „რუსთაველთან“ შეიკრიბნენ და მსვლელობა იქიდან დაიწყეს.

მათ თან ჰქონდათ რამდენიმე ტრანსპარანტი, რომლებსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: „შეაჩერე სოროსი“ და „საქართველო სოროსის გარეშე“.

ქართული მარშის წევრები ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვასაც ითხოვდნენ.



აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ლადო სადღობელაშვილის განცხადებით, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან.

ფონდის შენობამდე მარშელებმა მშვიდობიანად მიაღწიეს, სოროსი და მისი იდეები იქაც დაგმეს და მეტი ეფექტისთვის „სოროსის ბუდეს“ მაშხალები ესროლეს.

სოროსის შეჩვენების შემდეგ ისინი „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატ კახა კალაძის საარჩევნო შტაბისკენ დაიძრნენ.

რამდენიმე დღის წინ მათ კალაძის მოსთხოვეს, სოროსისტ მეოცნებეებს გამიჯვნოდა. „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა მარშელების მოთხოვნაზე არანაირი განცხადება არ გააკეთა. დუმილი კი ყოველთვის თანხმობას არ ნიშნავს.

ამ დუმილის საპასუხოდ მარშელებმა კალაძეს შტაბში მიაკითხეს, მერე შიგნითაც მოინდომეს შესვლა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სამართალდამცავებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს.

ამას პოლიციასთან შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რომლის დროსაც დააკავეს ლადო სადღობელაშვილი.

თანამებრძოლის დაკავებამ მარშელები კიდევ უფრო გაამწარა. შეხლა-შემოხლის შედეგად რუსთაველის გამზირზე მოძრაობა შეფერხდა. პოლიცია აქციის მონაწილეებს კანონის დაცვისკენ მოუწოდებდა.

უკანონო ქმედებებში მარშელებმა პოლიცია და „ქართული ოცნება“ იქით დაადანაშაულეს.

ქართული მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორის სანდრო ბრეგაძის თქმით, „ოცნება“ ხალხს პოლიციის ენით ესაუბრება. მარშელები ამბობენ, რომ ხელისუფლების არ ეშინიათ და ქართული მიწის დასაცავად ბოლომდე იბრძოლებს.

# მანუჩარ მაჩაიძე: „ნაციონალებმა თავიანთი კორუმპირებულობა თვითონ აღიარეს“

მარიამ მჭედლიშვილი



## „სააკაშვილი ლენინივით იქცევა და მისნაირ თეზისებს ავრცელებს“

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა" ესაუბრა თბილისის საკრებულოს წევრ მანუჩარ მაჩაიძეს.

***– აქამდე ადგილობრივი არჩევნების ინტრიგა მდგომარეობდა იმაში, დაინიშნება თუ არა დედაქალაქის მერის არჩევნებში მეორე ტური. ამჟამად მთავარი საარჩევნო თემა ნაციონალური მოძრაობისა და მისი განაყოფის – „ევროპული საქართველოს“ ურთიერთდაპირისპირებაა. ნაციონალების ლიდერი ნიკა მელია აცხადებს, რომ „ევროპულ საქართველოს“ ნაძარცვი თანხებით აფინანსებს დავით კეზერაშვილი.***

– ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილის რეჟიმი რომ მძარცველი და კორუმპირებულია, ეს მთელმა საქართველომ იცის. ისიც ცნობილია, რომ ამ რეჟიმის წარმომადგენელმა კეზერაშვილმა დიდძალი უკანონო თანხა გაიტანა ქვეყნიდან. ეს ფული სხვადასხვა მიზანს ხმარდება. ნიკა მელიას განცხადება დანაშაულის აღიარებაა. ნაციონალებმა თავიანთი კორუმპირებულობა აღიარეს.

***– საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ ნაციონალები და მისგან გამოყოფილი პარტიები მალე ერთად იქნებიან და ისინი სხვადასხვა საკრებულოში უმრავლესობას შექმნიან..***

– ეს შეუძლებელია. ხალხი შეიძლება ცოტა ხნით მოატყუო, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში ადამიანების გაცურება არარეალურია. საზოგადოებამ კარგად შეისწავლა ნაცმოძრაობის ბუნება. მისი დიდი ნაწილი მისგან დაზარალებულია და რატომ უნდა მისცეს ხმა ნაცმოძრაობას ან მისგან გამოყოფილ პარტიებს? ნაციონალებმა უმრავლესობა როგორ უნდა მოაგროვონ? ეს არც ერთ საკრებულოში არ მიმაჩნია შესაძლებლად. ახლანდელ და ყოფილ ნაციონალებს გაფუჭებული ისტორია აქვთ. რაც უნდა ერთად დადგნენ და პროცენტები შეკრიბონ, მთავარ ძალად ვერ ჩამოყალიბდებიან.

***– ნაცმოძრაობაში იმასაც ფიქრობენ, რომ სააკაშვილმა ივანიშვილი დაამარცხა. ზაზა ბიბილაშვილის თქმით, სააკაშვილის უკრაინაში შესვლით დამარცხდა პოროშენკო უკრაინაში, ივანიშვილი საქართველოში და პუტინი ევრაზიაში.***

– ძალიან უცნაური განცხადებაა. რაც შეეხება სააკაშვილის ხმაურიან შესვლას პოლონეთიდან უკრაინაში, ეს მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ისტორიას მაგონებს. ლენინი რუსეთში პოლონეთიდან შევიდა და მერე რევოლუცია მოაწყო. სააკაშვილი ლენინივით იქცევა და მისნაირ თეზისებს ავრცელებს. ლენინი და ტროცკიც მსოფლიოს სწვდებოდნენ, სააკაშვილსაც უნდა, რომ მსოფლიოს ოლიგარქებს შეებრძოლოს. ოლიგარქებში ის მდიდარ ადამიანებს მოიაზრებს. გამოდის, რომ ყველა მსხვილ ბიზნესმენს, ცნობილ მსახიობს, კალათბურთელსა და ფეხბურთელს ომს უცხადებს. საეჭვოა, სააკაშვილმა ამ ომში წარმატებას მიაღწიოს.

***– საქართველოს როგორი ფორმით გადმოსწვდება?***

– საქართველოს სააკაშვილი არასდროს ივიწყებს, მას საქართველო მიზნად აქვს დასახული. რა დააშავა საქართველოს მოსახლეობამ ასეთი, რომ ასეთი კაცი გადაეკიდა! საქართველოში მილიარდები არ იშოვება.

***– მილიარდები, არსებული ინფორმაციით, სააკაშვილმა საქართველოში იშოვა და ეს ფული კეზერაშვილს მიაბარა.***

– ეს მართალია. იმის თქმა მინდა, რომ სააკაშვილმა ქვეყანა უკვე გააპარტახა. ამაზე მეტს ამ გაღარიბებულ საქართველოში ველარ იშოვის. ფაქტობრივად, ქვეყანაში უქონელი ხალხი, როგორც ადრე იტყოდნენ, პროლეტარიატი დარჩა. ამ ხალხმა იწვნია სააკაშვილის რეჟიმისგან ძარცვა, წამება, ახლობლების დახოცვა, ციხეში უდანაშაულოდ ჩასმა. აქ საშოვნელიც არაფერია და რა უნდა უნდოდეს სააკაშვილს ამ გაძარცვულ ქვეყანაში, არ ვიცი.

***– ბიბილაშვილის განცხადება ივანიშვილის დამარცხების შესახებ არაფერს ნიშნავს?***

– არ მესმის, რას ნიშნავს ეს განცხადება. თუ სააკაშვილი პოლონეთიდან უკრაინაში შევიდა, რა კავშირი აქვს ამას ბიძინა ივანიშვილთან, მით უმეტეს, მის დამარცხებასთან? სააკაშვილი იქცევა ისე, როგორც 21-ე საუკუნის ლენინი.

***– დაბოლოს, აქტიურდება საარჩევნო კამპანია. თქვენი აზრით, ახერხებენ კანდიდატები დედაქალაქის ნამდვილ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას?***

– პრობლემები ბევრია, თუმცა, დედაქალაქი, ისევე, როგორც მთელი ქვეყანა, სწორ გზას ადგას. თბილისის ერთ-ერთი სატკივარი ავარიული ბინებია. ბევრი საცხოვრებელი ობიექტი მძიმე მდგომარეობაშია და ინგრევა. ამას ღრმა ფესვები აქვს. ზოგიერთი პრობლემა სათავეს კომუნისტების დროიდან იღებს, ზოგი – შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობიდან. კანდიდატები ამ თემას ეხებიან, ოღონდ, ჩემი დაკვირვებით, ბევრი აზრზე არ არის, რას ამბობს. მშენებლობა მეცნიერებაა და მას ცოდნა სჭირდება. პოლიტიკოსები ამ სფეროში განსწავლულობას იშვიათად ამჟღავნებენ. სხვა მხრივ თბილისში შექმნილია ისეთივე მდგომარეობა, როგორც მთელ ქვეყანაში. შევარდნაძე-სააკაშვილის დროს ჩადენილა შეცდომები. მაშინ არჩეულ ეკონომიკურ და ფინანსურ მოდელს და დეინდუსტრიალიზაციას არასწორად მივიჩნევ. სოციალური პრობლემები და სიდუხჭირე იმ დროიდან მოგვყვება. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს და სტაბილურობას დაუჭერს მხარს.

# ირაკლი კობახიძე: „ოპოზიციას შანსი ჰქონდა, სიკეთე გაეკეთებინა, მაგრამ მათ პოზიტიური როლი ვერ შეასრულეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რომ ყველას აქვს თავისი დღის წესრიგი. პარტიების ნაწილი აგებს მუშაობას იმაზე, რომ რაც არ უნდა შესთავაზოს ხელისუფლებამ, ყველაფერი გააკრიტიკოს.

პრემიერის თქმით, ხელისუფლება ცდილობს, მიიღოს დოკუმენტი, რომელიც დაამყარებს ბალანსს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტს შორის.

კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ითვალისწინებს საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვენეციის კომისიისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებებს.

საერთაშორისო კონფერენციას ასევე ესწრებოდა პარლამენტის თავმჯდომარე. ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ის მზად არის, ოპოზიციას კიდევ ერთი შანსი მისცეს, თუმცა, ეს იყო იმ კითხვაზე პასუხი, რომელიც მას დაუსვეს:

– ვეცდებით, არ ვართ ოპტიმისტურად განწყობილი, თუმცა, კი ბატონო, ვცადოთ კიდევ ერთხელ, – უპასუხა კობახიძემ.

**ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე:**

– 20 საკითხი შემიძლია ჩამოგითვალოთ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებებიდან, რომელიც აძლიერებს ოპოზიციურ პარტიებს. მაგალითად, საგამოძიებო კომისია, პროპორციული სისტემა და ა.შ. არცერთი საკითხი არ არის, რომელიც მმართველ პარტიას მოუტანს სარგებელს. არცერთი წინადადება არ არის ასეთი და ეს აჩვენებს, თუ როგორი ხარისხიანია ეს დოკუმენტი 23 საკითხიდან, რომელიც ვენეციის კომისიამ გამოაგზავნა, 20 საკითხი გათვალისწინებულია.

ჩვენ უკვე გვქონდა რამდენჯერმე კონტაქტი ოპოზიციურ პარტიებთან, დავსვით საკითხი, რომ მოეწოდებინათ თავიანთი ვერსია, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ვფიქრობ, წინასწარი განზრახვა იყო ოპოზიციის, რომ არ ყოფილიყო კონსენსუსი. ოპოზიციას არ სურს მონაწილეობის მიღება ამ პროცესში. ოპოზიციას ჰქონდა შანსი, რაიმე სიკეთე გაეკეთებინა, მაგრამ მათ პოზიტიური როლი ვერ შეასრულეს.

დაადებს თუ არა პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს ვეტოს? ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ეს მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა.

**ირაკლი კობახიძე:**

– ჩვენ სულ ღია ვართ დიალოგისა და დისკუსიისთვის. აბსოლუტურად ღიაა ამისთვის მმართველი გუნდი, უბრალოდ, რაც უფრო მეტად წელავს ოპოზიცია ამ პროცესს, მით უფრო რთულდება ჩვენი ამოცანა. ახლა ეს ყველაფერი პიკს არის მიახლოებული, შესაბამისად, სწორედ აქედან გამომდინარეობდა ჩემი მოზომილი პასუხი. მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ მზად ვართ და ღია ვართ აბსოლუტურად დისკუსიისთვის, თუმცა მოლოდინი მაინცდამაინც მაღალი არ არის, გამომდინარე იქიდან, თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანა ოპოზიციამ პროცესი. მოწმეები ხართ, რომ ჩვენ წერილობით გავუგზავნეთ თხოვნა ოპოზიციურ პარტიებს და წერილობითვე უნდა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია იმ საკითხებზე, რომელთა ასახვის შემთხვევაში ისინი მხარს დაუჭერდნენ ცვლილებებს, თუმცა მათ ეს საკითხები არ გამოგვიგზავნეს. მათ ჩამოთვალეს ოთხი საკითხი, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში გადავიდოდნენ დიალოგზე. ასეთი პოზიცია არის კონტრპროდუქტიული. სამწუხაროდ, ოპოზიციამ აქამდე მიიყვანა საქმე.

**ჯერ ერთი, შანსი ოპოზიციას კი არ უნდა მისცეს, შანსი უნდა მისცეს ნორმალური კონსტიტუციის მიღებას. ეს არის მისი პასუხისმგებლობა, როგორც პარლამენტის სპიკერის. ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს, იმდენი მოკლეფეხებიანი ტყუილი და სულელური განცხადება გააკეთა.**

ირაკლი კობახიძის განმარტებით, ჩვენ გვქონდა ორი ვარიანტი, ან უნდა მიგვეღო პროპორციულ სისტემაზე გადასვლის თაობაზე ცვლილებები 2024 წლისთვის, ან საერთოდ ვერ მივიღებდით.

– მინდა მოგახსენოთ პროცესზე, რომელშიც წარიმართა ცვლილებები. ჩვენ შევეცადეთ, რომ პროცესი ყოფილიყო სტრუქტურულად გამართული. შევქმენით სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდა ოპოზიცია, ექსპერტები, არასამთავრობო სექტორი და განხილვის პროცესი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ცვლილებების 80% სწორედ ექსპერტებისა და არასამთავრობოების შემოთავაზებებით მივიღეთ. აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებები საკმაოდ დრამატულ ცვლილებებს მოიცავს. ჩვენ გადავდივართ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. პირადად მე ვეთანხმებოდი, თუმცა მომავალ არჩევნებზე აღნიშნულ სისტემაზე გადასვლა შეუძლებელი იყო. კონსენსუსის მიღწევა გართულდა, რადგან ოპოზიციის მხრიდან მზაობა არ არსებობდა. ჩვენ გვყავს მაჟორიტარები და მათგან არ არსებობდა თანხმობა მაჟორიტარული სისტემის გაუქმების. ჩვენ გვქონდა ორი ვარიანტი, ან უნდა მიგვეღო ცვლილებები 2024 წლისთვის, ან საერთოდ ვერ მივიღებდით და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პროპორციულ სისტემაზე გადავიდეთ 2024 წელს. პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შესახებ ცვლილებების მიღება შეუძლებელი გახდა, რადგან არ იყო ოპოზიციის მზაობა, ნებისმიერ შემთხვევაში დაეჭირათ მხარი ცვლილებებისთვის. – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძის შეთავაზებას, რომ ოპოზიციას მისცემს ერთ შანსს, „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგა ბოკერია გამოეხმაურა.

– ჯერ ერთი, შანსი ოპოზიციას კი არ უნდა მისცეს, შანსი უნდა მისცეს ნორმალური კონსტიტუციის მიღებას. ეს არის მისი პასუხისმგებლობა, როგორც პარლამენტის სპიკერის. ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს, იმდენი მოკლეფეხებიანი ტყუილი და სულელური განცხადება გააკეთა – თითქოს იყო მზად ცვლილებებისთვის და მეორე დღეს იქვე აკეთებდა განცხადებას, რომ არანაირი ცვლილებები არ შევა პროექტში. ჩვენ, როგორც საპარლამენტო ოპოზიცია „ევროპული საქართველო“, ყოველთვის მზად ვიყავით, მონაწილეობა მიგვეღო ამ დისკუსიაში, მიუხედავად ცუდი საფუძვლისა და პროგნოზისა. ახლაც არ გვაქვს არანაირი პროგნოზი, რომ არსებობს ივანიშვილის გუნდში პოლიტიკური ნება, რომ არსებითი ცვლილება შეიტანონ საარჩევნო სისტემაში მაინც, რომელზეც შეიძლება შემდგარიყო კონსენსუსი. თუ გადადგამენ ამ ნაბიჯს, ბურთი მათ მოედანზეა, გამოიწვიონ კონსტიტუცია, არ მიიღონ მესამე მოსმენით და უნდა იყვნენ მზად რეალური დიალოგისთვის. ვნახოთ, ამჯერადაც თუმცა არანაირი საფუძველი ოპტიმისტური პროგნოზის მე პირადად არ მაქვს.

# გიორგი კვირიკაშვილი: „სააკაშვილი ქვეყნის ძალიან სამწუხარო წარსულია“

ნათია ხურცილავა

პოლონეთ-უკრაინის საზღვართან განვითარებულ მოვლენებს პრემიერი კვირიკაშვილი გამოეხმაურა. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ძალიან სამწუხარო წარსულია.

– ჩვენი ქვეყნისთვის მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური წარსული, ძალიან სამწუხარო წარსული და ისიც ძალიან სამწუხაროა,



რასაც ვუყურებთ. რაც შეეხება იურიდიულ მხარეს, სჯობს ამაზე იმ ინსტიტუტებმა გააკეთონ კომენტარი, რომლებსაც ეს ხელეწიფებათ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე კი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის საკითხი ჩვენთვის პოლიტიკურად აქტუალური არ არის.

– პოლიტიკურად აქტუალური ეს საკითხი ჩვენთვის არ არის. შესაბამისად, ჩვენი პოზიციაც არის მხოლოდ სამართლებრივი. რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ეს არის შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურების პასუხისმგებლობა და ისინი მოაწესრიგებენ. – ამბობს ირაკლი კობახიძე.

# რესტორნები უპირატესობას იმპორტირებულ ხორცს ანიჭებენ

რესტორნები უპირატესობას იმპორტირებულ ხორცს ანიჭებენ

ადგილობრივ ბაზარზე გაყინული, იმპორტირებული ხორცის მოხმარება პიკზეა. საქართველოში საქონლის ხორცის დეფიციტის გამო ხორცპროდუქტების მწარმოებლები ბაზარზე არსებულ რთულ ვითარებაზე საუბრობენ. მათი ნაწილი „კომერსანტთან" აცხადებს, რომ დაბალი ფასის გამო, კვების ობიექტები უპირატესობას უკვე იმპორტირებულ ხორცს ანიჭებს.

შპს „ახალი ხორცის" ხელმძღვანელი თემურ ხურცილავა „კომერსანტთან" განმარტავს, რომ ბაზარზე საქონლის ხორცი, გასული წლიდან მოყოლებული, ისევ დეფიციტურია, ეს კი საბოლოოდ ფასების ზრდაში გამოიხატება. ბოლო ერთ თვეში საქონლის ხორცის ფასმა 1.50 ლარით მოიმატა. მისი თქმით, სეზონურად, კონკრეტულად კი, აგვისტო-ნოემბრის პერიოდში საქონლის ხორცი ბაზარს ჭარბი რაოდენობით მიეწოდება, რასაც ვერ ვიტყვით ახლანდელ პერიოდზე.

ხურცილავა ამბობს, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ბოლო პერიოდში, ძალიან ბევრი ცოცხალი საქონელი გავიდა და ახლაც ასე გრძელდება. მისივე განცხადებით, თუ ადგილობრივად დაკლული საქონლის ფასი 11 -12 ლარია, ცოცხალი საქონლის გაყვანის შემთხვევაში 1 კილოს ფასი 15 ლარამდე ადის. საქონელი არაბულ ქვეყნებში გადის.



– როდესაც ხორცი გაძვირდა, ბევრ სახინკლეს და რესტორანს ვუთხარით, რომ ძველ ფასში ველარ მივაწვდიდით. შედეგად, კვების ობიექტებმა ადგილობრივს იმპორტირებული არჩიეს. რესტორნებმა პროდუქციაზე ფასები რომ გაზარდონ, კლიენტი აღარ მიუვათ, ანუ მძაფრი კონკურენციაა და კლიენტი დაეკარგებათ. ამიტომ ცდილობენ, რომ იგივე ფასებში იმუშაონ, ამის გამო კი გაყინული, იმპორტირებული ხორცი გამოიყენონ, – აცხადებს ხურცილავა.

მისი მტკიცებით, მცირე ტიპის კომპანიები დახურვის წინაშე დგანან, რადგან გაზრდილი ფასის პირობებში რეალიზაცია კლებულობს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ბიზნესმენი საკუთარი ფერმის დაფუძნებასაც გეგმავდა, თუმცა, გადაიფიქრა. როგორც ხურცილავა აცხადებს, საქართველოში ფერმის გაკეთება არ ღირს, რადგან 2-3 თვეში საქონელი იმ კონდიციამდე ვერ მიდის, რომ დაიკლას და ხორცად გაიყიდოს, საკვები დანამატი პრემიქსით მოყვანილი კი კილოგრამებს მალე ამატებს, თუმცა, ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

კითხვაზე, როგორ უნდა დარეგულირდეს ეს პრობლემა, ხურცილავა განმარტავს, ამას ბაზარი დაარეგულირებს და მასში ხელოვნური ჩარევა შესაძლოა კიდევ უფრო საზიანო იყოს.

შპს „უხვის" ხელმძღვანელი ნოდარ ყაველაშვილიც ამბობს, რომ ქართული საქონელი ექსპორტზე დიდი რაოდენობით გადის, შეიქმნა დეფიციტი, რამაც ხორცის გაძვირება გამოიწვია. მისი თქმით, ახლა ვითარება მეტ-ნაკლებად გამოსწორდა, რადგან ზოგადად, შემოდგომა ხორცის ჭარბი რაოდენობით ხასიათდება ხოლმე. როგორც ყაველაშვილი განმარტავს, ზამთარში სიტუაცია ისევ ძველებურად იქნება და ბაზარზე ისევ ხორცის დეფიციტი შეიქმნება.

მისი თქმით, საქართველოში იანვრიდან საქონლის ხორცის ფასი 2-3 ლარით გაიზარდა. ყაველაშვილი ასევე ამბობს, რომ თუ სფეროში კონკურენცია არ იქნება, ისე ვერ განვითარდება. იგი ასევე აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში წარმოებული, ადგილობრივი ხორცი არ არის იმ რაოდენობის, რომ ბაზარზე არსებული მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. მისი მტკიცებით, რომ არა იმპორტირებული ხორცი, ბაზარზე აღნიშნული პროდუქტი საგრძნობლად გაძვირდებოდა.

– რატომღაც წარმოდგენა გვაქვს, რომ ქართული ხორცი საუკეთესოა. ეს წარმოდგენა კი მცდარია. იმპორტირებულშიც არის ხარისხიანი. მე რესტორნებსაც ვაბარებ, ჯარსაც ვამარაგებ. იგივე რესტორანს, იგივე ხარისხის ან უკეთეს ხორცს თუ მიაწვდი და ის იმპორტირებული იქნება, რა პრობლემაა? – აცხადებს ყაველაშვილი.

სურსათის ეროვნული სამსახურის ანგარიშის მიხედვით, საქართველოდან მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი აზერბაიჯანში, ეგვიპტეში, ერაყში, საუდის არაბეთსა და სირიაში ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში საქართველოდან ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი არ ხორციელდებოდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ექსპორტი 2008 წლიდან დაიწყო და მას შემდეგ იზრდება.

2008 წელს ქვეყნიდან 584.4 ათასი დოლარის ღირებულების ცოცხალი საქონლის ექსპორტი განხორციელდა, 2016 წელს წელს კი ეს მაჩვენებელი 36,841.6 ათას დოლარამდე გაიზარდა. 2015 წელს კი ცოცხალი მსხვილფეხა საქონლის ექსპორტმა 20,103.4 ათასი დოლარი შეადგინა.

სწორედ გაზრდილ ექსპორტს ასახელებენ სასაკლაოებში საქონლის ხორცის დეფიციტის მიზეზად.

კიდევ ერთი პრობლემა წარმოების შემცირებაა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2016 წელს 2015 წელთან შედარებით, ხორცის წარმოება თითქმის 9,6 ათასი ტონით შემცირდა. თუ 2015 წელს ქვეყანაში ხორცის წარმოება იყო 62,1 ათასი ტონა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 52,5 ათასამდე შემცირდა.

**ბპნ**

# საშა ტერნესი: „არის საფრთხე, რომ ინვესტორებში უნდობლობა გაჩნდეს"



გერმანიის ბიზნესასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე საშა ტერნესი მიიჩნევს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისების აკრძალვასთან დაკავშირებით დაშვებულმა შეცდომებმა შესაძლოა, სერიოზული უარყოფითი შედეგი მოიტანოს და ხელი შეუშალოს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას წლების განმავლობაში.

როგორც რადიო „კომერსანტთან" საშა ტერნესი ამბობს, რეგულაციებმა არ უნდა შეაფერხოს უცხოური ინვესტიციები. „ახალი კანონი არ უნდა შეეწინააღმდეგოს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს. მათ შორის გერმანია-საქართველოს შორის არსებულ ხელშეკრულებას. აქედან გამომდინარე ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ბიზნესი ინტენსიურად იყოს ჩართული საკითხის დამუშავებაში", – აღნიშნავს ტერნესი.

მისივე თქმით, საქართველოს სჭირდება უცხოური ინვესტიციები და სოფლის მეურნეობის სექტორი არის ამ მიმართულებით აქტივი. ამასთან, ბიზნესმენის განცხადებითვე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მიწის შეძენა სპეკულაციისთვის არ ხდება.

ტერნესის აზრით, არის საფრთხე, რომ ინვესტორებში უნდობლობა გაჩნდეს. მისივე თქმით, როდესაც საკითხი სამთავრობო თუ ადმინისტრაციულ რეგულაციებს და გამონაკლისებს ეხება, პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ არ გაჩნდეს დამატებითი კითხვები.

როგორც ცნობილია, პარლამენტმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი პირველი მოსმენით განიხილა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეძენის შეჩერების შესახებ დადგენილი მორატორიუმი გარდამავალ ეტაპზე არ გავრცელდება ბანკებსა და მიკროსაფინანსოებზე. ასევე, გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, მორატორიუმიდან გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კანონპროექტით ნარჩუნდება ის პრინციპი, რომ მიწა არის განსაკუთრებული რესურსი და მისი მესაკუთრე უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. პროექტის ინიციატორები განმარტავენ, რომ კანონპროექტის მიღება ხდება იმის გამო, რომ არ შეიქმნას სამართლებრივი ვაკუუმი და საკუთრების კონსტიტუციური უფლება იყოს დაცული. კანონპროექტი მიიღება გარდამავალი ეტაპისთვის, სანამ არ იქნება მიღებული ორგანული კანონი, რომელიც დაარეგულირებს მიწის საკითხს.

კანონპროექტით კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეძლევათ ვალდებულება, შესაბამისად ორი და ერთი წლის ვადაში გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული მიწები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე.

**კომერსანტი**

# 2018 წლიდან სათამაშოების უსაფრთხოებას კანონი დაარეგულირებს



ეკონომიკის სამინისტრო შესაბამის უწყებებთან ერთად, სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტზე მუშაობს. როგორც უწყების წარმომადგენელმა გიორგი ჩიტაძემ განაცხადა, პროექტის პირვანდელ ვერსიაზე მუშაობა ფაქტობრივად უკვე დასრულებულია და ის, სავარაუდოდ, 2018 წლიდან ეტაპობრივად ამოქმედდება.

– ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა ევროპისას უნდა დაუახლოვდეს. ევროდირექტივის შესაბამისად, კანონმდებლობა 2019 წლიდან უნდა ამოქმედდეს. თუმცა, შესაბამისი კანონპროექტის პირვანდელ ვერსიაზე მუშაობა ფაქტობრივად დასრულებულია და ვფიქრობთ, მისი ამოქმედება ეტაპობრივად უკვე 2018 წლიდან გახდება შესაძლებელი, – აღნიშნა ჩიტაძემ.

მისივე თქმით, ევროდირექტივა განსაზღვრავს, თუ როგორი პროდუქტი შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ და ადგენს პარამეტრებს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ნივთი.

– ეს პარამეტრები სხვადასხვა პროდუქტზე სხვადასხვაა. რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს საღებავის შემცველობა, რიგ შემთხვევაში დეტალებად დაშლის რაოდენობა, ასევე რამდენად დაცულია, რომ ელექტროშოკი არ გამოიწვიოს და ა.შ., – განაცხადა ჩიტაძემ.

**ბპნ**

# ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე საწვავი გაძვირდა



ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე ბოლო დღეების განმავლობაში საწვავის ფასი გაიზარდა.

კერძოდ, ფასები 2-დან 10 თეთრამდეა მომატებული.

„ლუკოილის" ბენზინგასამართ სადგურებზე 10 სექტემბრის შემდეგ საწვავის ფასმა 5 თეთრით მოიმატა. „ევრო სუპერი" – 2.29 ლარი ღირს, მაშინ როცა 10 სექტემბრის მდგომარეობით მისი ფასი 2.24 ლარი იყო; „პრემიუმ ავანგარდის" ფასი – 2.14 ლარიდან და 2.19 ლარამდეა გაზრდილი; „ევრო რეგულარის" ტიპის საწვავი 1.94 ლარი ღირდა, დღეს კი მისი ფასი – 1.99 ლარია; უცვლელია „ევრო დიზელის" ღირებულება – 1.94 ლარიდან 1.99 ლარამდეა გაზრდილი.

საწვავი გაძვირებულია „ვისოლის" ბენზინგასამართ სადგურებზეც. კერძოდ, დღეის მდგომარეობით, ეკო-სუპერი" 2.39 ლარი ღირს, მაშინ როცა 24 აგვისტოს მდგომარეობით მისი ფასი 2.35 ლარი იყო; „ეკო-პრემიუმის" ფასი – 2.23 ლარიდან 2.27 ლარამდეა გაზრდილი; „ეკო -დიზელის" ტიპის საწვავი – 2.14 ლარი ღირს, მაშინ როცა 2.04 ღირდა; „ევრო-რეგულარის" ღირებულება -2.04 ლარიდან 2.08 ლარამდეა გაზრდილი; 9 თეთრით გაძვირდა „ევრო-დიზელი" და „დიზელ-ენერჯი". მათი ფასი, დღეის მდგომარეობით, შესაბამისად, 2.09 ლარი ღირს; ფასი კი – 1.99 ლარია.

10 სექტემბრის მდგომარეობით, ფასები 2-5 თეთრით არის მომატებული ზოგიერთი ტიპის საწვავზე „გალფის" ბენზინგასამართ სადგურებზეც.

კერძოდ, 30 აგვისტოს მერე „G-Force პრემიუმის" ღირებულება 2.19-დან 2.24 ლარამდეა გაზრდილი; „G-Force ევრო რეგულარის" ტიპის საწვავი 2.11 ლარი ღირს, მაშინ როცა 2.09 ღირდა; ასევე 2 თეთრით გაძვირდა „ევრო რეგულარი" და 2.04 ლარი ღირს; „G-Force ევრო დიზელის" და „ევრო დიზელის" ტიპის საწვავის ფასი კი 5 თეთრით არის გაზრდილი და შესაბამისად, 2.09 ლარი და 1.99 ლარი ღირს.

10 სექტემბრის შემდეგ ზოგიერთი ტიპის საწვავის ფასები გაიზარდა „სოკარის" სადგურებზეც. კერძოდ, „ევრო-რეგულარის" ფასი – 2.01 ლარიდან 2.05 ლარამდეა გაძვირებული; „სუპერის" ტიპის საწვავი დღეის მდგომარეობით, 2.38 ლარი ღირს, მაშინ როცა მისი ფასი 2.34 ლარი იყო; 4 თეთრით არის გაძვირებული „პრემიუმის" ტიპის საწვავი და 2.25 ლარი ღირს; 5 თეთრით არის გაძვირებული ევრო-დიზელისა და დიზელის (50პპმ და მეტი) ტიპის საწვავი და შესაბამისად მათი ფასი 2.07 და 1.97 ლარია; არ შეცვლილა და კვლავ 2.11 ლარი ღირს „რეგულარი".

აღსანიშნავია, რომ საწვავის ფასებმა გასულ თვეშიც მოიმატა.

# ევროპაში საქართველოს მოქალაქეებისთვის როუმინგის გაუქმებას გეგმავენ



ევროპარლამენტში ევროკავშირსა და საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას შორის მობილურ კავშირში როუმინგისთვის დაწესებული გადასახადის გაუქმების ინიციატივით გამოდიან.

რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტ რიკარდ იოზვაიკის ინფორმაციით, ნოემბერში დაგეგმილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის ფარგლებში ევროპარლამენტის რეკომენდაციებს შორის ერთ-ერთი საკითხი სწორედ ეს იქნება.

ევროპარლამენტი ზემოხსენებული სამი ქვეყნისთვის „აღმოსავლეთ პარტნიორობა-პლუსის" მოდელის შექმნას სთავაზობს, რომელიც საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვისთვის ცალმხრივი სატარიფო პრეფერენციების შემოღებას ან მაღალსიმძლავრიანი კავშირის არხების შექმნას ითვალისწინებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობა-პლუსის" მოდელს მომავალში შესაძლოა შეუერთდნენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სხვა მონაწილეები – აზერბაიჯანი, ბელორუსი და სომხეთი, „როდესაც ისინი ასეთი გაფართოებული შესაძლებლობებისთვის მზად იქნებიან".

პროექტის განხილვა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე 14 სექტემბერს იგეგმება.

# „ქვეყანა ტურისტების გაზრდილი რაოდენობის მისაღებად მოუმზადებელი აღმოჩნდა“



2017 წლის ზაფხულის სეზონი დასასრულს უახლოვდება. წლევანდელი სეზონი საქართველოს მთისა და ზღვის კურორტებისთვის ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა.

„კომერსანტთან“ საუბრისას „საქართველოს შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ია თაბაგარი აცხადებს, რომ მთის კურორტებზე – გზის, ელექტროენერგიის, გაზიფიკაციის, დასუფთავების და წყლის პრობლემებია მოსაგვარებელი. ხოლო რაც შეეხება ზღვის კურორტებს, ყველაზე მეტი საყვედური ტურისტების მხრიდან საპირფარეშოების ანტისანიტარიასთან, ან მის არარსებობასთან დაკავშირებით ისმოდა.

ია თაბაგარს მიაჩნია, რომ ქვეყანაში მაღალი და საშუალო კატეგორიის ტურისტები უნდა შემოვიდნენ, რომელთა მოთხოვნები და გადახდისუნარიანობა მაღალი იქნება. ამით ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარდება.

***– 2017 ზაფხულის სეზონი დასასრულს უახლოვდება. „კომერსანტი“ სეზონის განმავლობაში მთისა და ზღვის კურორტების შესახებ მუდმივად წერდა. თქვენ როგორ შეაფასებდით წლევანდელ სეზონს? რა პრობლემების წინაშე იდგნენ ძირითადად ტურისტები?***

– ტურიზმის წლევანდელ საზაფხულო სეზონს როგორც მთის, ასევე ზღვის კურორტებზე დადებითად შევაფასებდი. სეზონს დადებითად აფასებენ სასტუმროს წარმომადგენლებიც, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ძალიან ბევრი მათგანი დაზარალდა. კონკრეტულად მთის კურორტებზე – გზის, ელექტროენერგიის, გაზიფიკაციის, დასუფთავების და წყლის პრობლემებია მოსაგვარებელი.

თვალსაჩინო მაგალითია თუშეთი, სადაც სეზონი უგზოობის გამო ძალიან გვიან დაიწყო. შესაძლებელი იყო გზის დროულად გახსნა და სეზონიც ბევრად უკეთესი და ხანგრძლივი გამოვიდოდა. თავად სასტუმროს მეპატრონეებიც კი ვერ მიდიოდნენ დანიშნულების ადგილამდე. გზის გაწმენდითი სამუშაოები იმდენად ცუდად მიმდინარეობდა, რომ ბევრ ტურისტს თუშეთში წასვლის შეეშინდა. დღემდე მოუწესრიგებელია სოფლების დამაკავშირებელი შიდა გზები.

ზემო და ქვემო ომალოსთვის წყლის მიწოდება მოუგვარებელი პრობლემაა. თავად საოჯახო სასტუმროების მფლობელები ამ პრობლემას ვერ მოაგვარებენ, ამას სახელმწიფომ თუ არ მიხედა. ასევე მოუგვარებელია საზოგადოებრივ საპირფარეშოებთან დაკავშირებული პრობლემები, არ აქვს მნიშვნელობა, ეს მთის კურორტი იქნება თუ ზღვის. ამ მხრივ ვითარება ყოველ წელს უარესდება.

ხოლო რაც შეეხება ზღვის კურორტებს, ყველაზე მეტი საყვედური ტურისტების მხრიდან საპირფარეშოების ანტისანიტარიასთან ან მის არარსებობასთან დაკავშირებით ისმოდა.

***– პრობლემები სხვა მთის კურორტებზეც იყო, თქვენი აზრით, სვანეთი და ბაკურიანი როგორ შეხვდა სეზონს?***

– სვანეთს წელს დიდი რაოდენობით ტურისტი ესტუმრა. თვალსაჩინოა დანაგვიანების პრობლემა როგორც ტყეებში, ბილიკებზე, ასევე სოფლებში. სამწუხაროა, რომ დასუფთავების სამსახური ხშირად ნაგავს ხევებსა და მდინარეებში ყრის და თითქოს ეს პრობლემა, ტურისტების გარდა, არავის ადარდებს. საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხი წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა, რაზეც საუბრობენ როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ტურისტები. ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

სვანეთში შიდა გზებიც ცუდ მდგომარეობაშია. უშგული, ბეჩოს ხეობაში ოთხი წელია გზის სარემონტო სამუშაოები შეჩერებულია და მიზეზი გაუქმებული ტენდერებია.

***– წელს ბაკურიანში ჩასული დამსვენებლები ძირითადად მშენებლობებისგან გამოწვეულ მტვერზე, უჰაერობასა და ხმაურზე საუბრობდნენ. გარდა ბაკურიანისა, სხვაგან თუ იყო მსგავსი სიტუაცია?***

– დიახ, ბაკურიანში ძალიან ბევრი მშენებლობა მიმდინარეობდა. როდესაც დასვენების სეზონია და ყველა მხრიდან სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ხმაურია, იქ სიმყუდროვეზე საუბარი ზედმეტია. კურორტი ისევ განვითარების ეტაპზეა და დამსვენებლების მისაღებად იქ ბევრი რამ მზად არ არის.

გარდა ბაკურიანისა, სვანეთშიც უკონტროლო მშენებლობები მიმდინარეობს. მოსახლეობა ისტორიულ სოფლებში თანამედროვე შენობებს აშენებს, ხოლო მეორე მხრივ, სამღვდელო პირები ეკლესიების გადაკეთება-გარემონტებით არიან დაკავებული. ორივე ტიპის მშენებლობას კრძალავს კანონი, მაგრამ კონტროლი არ ხდება.

ასევე, თუშეთის სოფლებიდან ბევრი კულტურული ძეგლია, თუმცა უკანონო მშენებლობები მიმდინარეობს და ტრადიციული არქიტექტურის უგულებელყოფა ხდება.

ასეთი ტემპებით თუ გაგრძელდა, საქართველოს კულტურულ ტურიზმზე ხმა არ ექნება ამოსაღები, ისევე, როგორც ეკოტურიზმზე, რადგან საქართველოს თითქმის ყველა ხეობაში ჰესებს აშენებენ და გარემო ზიანდება. საჭიროა რეგიონები, ხეობები და ბუნების ძეგლები, სადაც მხოლოდ ხელუხლებელი ბუნება იქნება და არანაირი ინფრასტრუქტურა. ეს უფრო მოიზიდავს ტურისტებს, ვიდრე უგემოვნო შენობები და ჯიხურები ჯუთა-ჭაუხის მსგავსად.

***– ტურისტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით როგორი მდგომარეობა იყო და ამ მიმართულებით მათ ძირითადად რა სახის პრობლემები ექმნებოდათ?***

– ძალიან ცუდი გამოხმაურება იყო ტურისტების მხრიდან თბილისის ავტოსადგურებზე. დიდუბე-ოკრიბას, ვაგზლის და ისანი-სამგორის სადგურებში ჯერ კიდევ 90-იანი წლებია და ამაზე სახელმწიფო რატომღაც დუმს. პრობლემა ტრანსპორტის დაბალ ხარისხსაც ეხება და ზოგიერთი მძღოლის არაკეთილსინდისიერებასაც. რაც თბილისის ავტოსადგურების შესახებ გაისმა ტურისტების მხრიდან, ქვეყნის იმიჯს სერიოზულ ზიანს აყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა, ქვეყანა საკმაოდ მოუმზადებელი აღმოჩნდა მათი მიღებისთვის.

***– როგორ ფიქრობთ, ტურისტების რომელი სეგმენტი უშლის ხელს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას და თუ შეგიძლიათ კონკრეტული მაგალითების მოყვანა?***

– მაგალითად, საქართველოში ჩამოსული დაბალბიუჯეტიანი ტურისტების კატეგორიას ხარისხზე პრეტენზია არ გამოუთქვამს, რადგან მათთვის მთავარია, ნაკლები თანხა დახარჯონ, რასაც ახერხებენ კიდეც. ასეთი ტურისტები ტურიზმის განვითარებას და ზოგადად მომსახურების გაუმჯობესებას ხელს არ უწყობენ.

საქართველოს ესაჭიროება მაღალი და საშუალო კატეგორიის ტურისტები, რომელთა მოთხოვნებიც და გადახდისუნარიანობაც მაღალია. სხვა შემთხვევაში ვერ მივაღწევთ ტურიზმის მაღალ მაჩვენებელს. ვიზიტორების ნაწილი ეძებს იაფ შეთავაზებებს ან ისეთი სერვისის მიმწოდებელს, რომელიც არ არის რეგისტრირებული, სთავაზობს ნაღდი ანგარიშით მომსახურების საფასურის გადახდას, ეს თანხა არსად აღირიცხება და, შესაბამისად, არც საშემოსავლო გადასახადი შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. ამის მაგალითი უამრავია: ტრანსპორტის (მსუბუქი ავტომობილები, მიკროავტობუსები, კვადროციკლები), გიდების და პარაპლანების მომსახურება.

***– რა არის არსებული სიტუაციიდან გამოსავალი და როგორი სახის ცვლილებებია საჭირო ქვეყანაში ამ მიმართულებით?***

– ჩვენი რესურსები დასავლეთის ბაზრებისკენ უნდა მივმართოთ და აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ვიზიტორების შემოსვლის რაოდენობა უნდა შევამციროთ, თუნდაც სავიზო რეჟიმი დავაწესოთ გარკვეული პერიოდულობით. ტურისტული ნაკადების მართვა შესაძლებელია.

ამის შემდგომ იქნება როგორც ეკონომიკური ზრდა, ასევე კულტურის დონის ამაღლება და ხარისხი. ის ხარისხი, რაც წელს საქართველოს კურორტებზე შეინიშნებოდა, ევროპელი ტურისტისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო.

**კომერსანტი**

# პეკინის ქუჩა ავტომანქანებისთვის ცალმხრივი იქნება



რეაბილიტირებულ პეკინის ქუჩაზე სატრანსპორტო მოძრაობა ცალმხრივი იქნება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გივი კუბლაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, 15 სექტემბრისთვის მათი სამსახური პეკინის ქუჩაზე სამუშაოებს სრულად დაასრულებს. შაბათ-კვირას ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ქუჩის დახაზვის სამუშაოებს განახორციელებს. 18 სექტემბრისთვის კი ქუჩა მთლიანად განახლებული იქნება. რაც შეეხება გამწვანების სამუშაოებს, იგი, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე გაგრძელდება, რის შედეგადაც პეკინის ქუჩა ახალ სახეს მიიღებს.

კუბლაშვილის განცხადებით, პეკინის ქუჩაზე ცალმხრივად მოძრაობის გამო, სატრანსპორტო მოძრაობის გეგმა გარკვეულწილად შეიცვლება. გაგარინის მოედნიდან ტრანსპორტი ბესიკის ქუჩით ყაზბეგის გამზირზე მოხვდება, საიდანაც შემდეგ პეკინზე იმოძრავებენ.

– ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები პეკინის ქუჩაზე ორმხრივად იმოძრავებენ. ავტობუსებისთვის „ბასლაინს“ უკვე ვაწყობთ. ასე რომ, მუნიციპალური ტრანსპორტი ამ ქუჩაზე ორმხრივად იმოძრავებს. მუნიციპალური ტრანსპორტისთვის კოსტავა-შარტავას ქუჩებზეც ასევე ორმხრივი მოძრაობა იქნება. პეკინის ქუჩაზე ცალმხრივ მოძრაობასთან დაკავშირებით მოსახლეობასთან ჩვენ ძალიან დიდი სამუშაო გავწიეთ და გამოკითხვები გვქონდა, რათა მათი აზრი გათვალისწინებული ყოფილიყო. სატრანსპორტო ნაკადებზე დაკვირვება მომავალშიც გაგრძელდება, – განაცხადა გივი კუბლაშვილმა.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, რეაბილიტირებულ პეკინის ქუჩაზე ველობილიკებიც იქნება და მოქალაქეებს შეეძლებათ ველოსიპედებით ქუჩაზე 18 სექტემბრიდან გადაადგილდნენ. ამ მიზნით პეკინის ქუჩაზე ტროტუარი 3 მეტრით გაფართოვდა და ერთი კილომეტრის მანძილზე ორმხრივი ველობილიკი იქნება.

– ქუჩებზე ველობილიკების მოწყობას სხვა ქუჩებზეც გავაგრძელებთ. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ველობილიკებისთვის გზის სავალი ნაწილი დაიხაზება და ზოლი მოეწყობა, – განაცხადა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა.

# ლევან დავითაშვილი: „თხილის ექსპორტი შემცირდება“



– რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება თხილის ექსპორტში შემცირება, – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სადაც აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს.

თუმცა დავითაშვილის თქმით, თხილის კატასტროფულად ცუდი მოსავლის მიზეზი აზიური ფაროსანა არ არის.

– თხილის კულტურაში ჩვენ პრობლემები სულ სხვა მიზეზების გამო გვაქვს და არა იმის გამო, რომ აზიურმა ფაროსანამ გაანადგურა. მისი წვლილი ზარალში 8-10% შეიძლება იყოს. ჩვენ დღეს გვაქვს კატასტროფულად ცუდი მოსავალი თხილთან დაკავშირებით იმიტომ, რომ ჩვენ გვქონდა ბევრი სხვა მომენტი, რომელიც ვერ შევასრულეთ ან კლიმატის გამო ახალი პრობლემები გაჩნდა და თხილის მოსავალი ვერ მივიღეთ. რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარე, ჩვენ გვექნება თხილის ექსპორტში შემცირება. ამაზე პასუხი არის ერთადერთი – ჩვენ უნდა გავატაროთ სწორი აგროტექნოლოგიის ღონისძიება, რომ მაქსიმალურად შევამციროთ კლიმატის ზემოქმედება, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

# მიწის აზომვითი ნახაზის მომზადებისთვის 9.7 მილიონ ლარზე მეტია ანაზღაურებული



მიწის რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში, 1 აგვისტოდან დღემდე მიწის აზომვითი ნახაზის მომზადებისთვის 9.708.980 ლარი ანაზღაურდა.

ინფორმაციას ამის შესახებ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, 11 სექტემბრის მონაცემებით, 1 აგვისტოდან მოყოლებული, ჯამში 122.187-ზე მეტი, 22.983 ჰექტარზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთის აზომვის საფასური ანაზღაურდა.

ასანაზღაურებელი თანხის მთლიანი მოცულობა ერთ ნახაზზე 1,5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთის აზომვის შემთხვევაში – 80 ლარს, ხოლო 1,5 ჰა-დან 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთებზე 100 ლარს შეადგენს.

მიწის აზომვითი ნახაზის მომზადების საფასურის ანაზღაურების პროგრამა 2017 წლის ბოლომდე გრძელდება.

ამასთან, საჯარო რეესტრის აგვისტოს მონაცემებით, მიწის რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში, 1 წლის განმავლობაში მიწა საკუთრებაში 200 ათასზე მეტმა მოქალაქემ დაირეგისტრირა.

# აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში ხვალიდან ავიაცია ჩაერთვება



სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას აცნობს.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე დავითაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო შესაბამის კამპანიას და საველე ღონისძიებებს განახორციელებს წლის ბოლომდე, ვიდრე მავნებელი ზამთრის ძილს მიეცემა.

– კამპანია არის მოწოდება, რომ ერთობლივი ღონისძიებებით ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ მავნებელი და მეორე, მივყვეთ მავნებელს კვალდაკვალ მისი გავრცელების გეოგრაფიის მიხედვით. მობილიზებული გვყავს სრულად ტექნიკური საშუალებები და ვფიქრობთ, ჩვენი ღონისძიებები იმ შედეგის მომტანი იქნება, რომ მომავალი წლისთვის პოპულაცია მნიშვნელოვნად შემცირებული იქნება და რამდენიმეწლიან პერსპექტივაში ჩვენ მავნებლის სრულად კონტროლში მოცვას შევძლებთ, – განაცხადა დავითაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ავიაცია სამუშაოებში ხვალიდან ჩაერთვება.

# ორთაჭალაში მკვლელობა მოხდა



ორთაჭალაში შუახნის მამაკაცი ავტომობილში მოკლული იპოვეს. შემთხვევა წუხელ მოხდა. მკვლელობა, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღით არის ჩადენილი. ავტომობილს, რომელშიც მამაკაცის ცხედარი იპოვეს, ნატყვიარი ეტყობა.

მოკლული ეროვნებით აზერბაიჯანელი მამაკაცია. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, იგი რუსეთში მკვლელობისთვის იძებნებოდა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში განაცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 236-ე და 108-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას და განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელ ხიდთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა



რუსთავში, ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელ ხიდთან, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. „ნისანის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს დაეჯახა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

# ქობულეთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი პირი გარდაიცვალა, ორი კი დაშავდა

ქობულეთში, მიკროავტობუსი გაჩერებულ სატვირთო ავტომობილს დაეჯახა. შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ორი კი დაშავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# საუნივერსიტეტო კლინიკაში ექიმი გარდაცვლილი იპოვეს

საუნივერსიტეტო კლინიკაში ექიმ-ანესთეზიოლოგი გიორგი ანდრიაძე გარდაცვლილა. მედიკოსი ტუალეტში იპოვეს, მას სიცოცხლის ნიშნები არ აღენიშნებოდა.

ფაქტი „ნიუპოსტს“ საუნივერსიტეტო კლინიკაში დაუდასტურეს. მათი თქმით, ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. საქმის ძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. დანიშნულია ექსპერტიზაც.

# წერეთლის გამზირზე, „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეჭრილმა პირმა თავი მოიკლა

„საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების მიზნით, ფილიალში შეჭრილმა პირმა თავი მოიკლა. შემთხვევა წერეთლის გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში მოხდა.

შსს-ს ინფორმაციით, ბოროტმოქმედის შეჭრიდან და საგანგაშო ღილაკზე თითის დაჭერიდან წუთნახევარში პოლიცია ადგილზე მივიდა და მას დანებება შესთავაზა, თუმცა თვითმხილველების ინფორმაციით, მან გასროლა განახორციელა და თავი მოიკლა.

წერეთლის გამზირზე „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების მცდელობის ფაქტზე ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

– თბილისში, „საქართველოს ბანკის“ წერეთლის ფილიალში, შეიჭრა შეიარაღებული პირი. განგაშის ღილაკის ამოქმედებიდან წუთნახევარში შემთხვევის ადგილას უკვე იმყოფებოდა პოლიცია. შსს-ს თანამშრომლებმა თავდამსხმელს მოუწოდეს, დამორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და დანებებულიყო, რის შემდეგაც მან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა საკუთარი თავის მიმართულებით განახორციელა. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, – აცხადებს შსს-ს პრესსამსახურის უფროსი თეა პერტაია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველები უყვებიან, ბანკში შეღწევა თავდამსხმელმა იარაღის მუქარით მოახერხა.

„საქართველოს ბანკის“ აღნიშნულ სერვის ცენტრში მომხმარებელი ვერ შევა, თუ ბანკის პლასტიკური ბარათი არ აქვს და სპეციალურ გამხსნელში არ მოათავსებს. თავდამსხმელმა დაცვის თანამშრომელს კარი იარაღის მუქარით გაახსნევინა.

თვითმხილველები ასევე ყვებიან, რომ ბანკის პირველ კარში შესვლისას, დაცვის თანამშრომელმა, რომლისთვისაც ბოროტმოქმედს იარაღი ჰქონდა დამიზნებული, დაუძახა თანამშრომლებს, რომ იყო დაყაჩაღების მცდელობა, რის შემდეგაც მათ სერვის ცენტრში შესასვლელი მეორე კარის დაკეტვა მოასწრეს, ბანკის თანამშრომლებისა და კლიენტების იზოლირება მოახერხეს და პოლიცია გამოიძახეს.



მათივე ინფორმაციით, რამდენიმე წუთში პოლიციის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ, რის შემდეგაც ბოროტმოქმედმა გასროლა განახორციელა და თავი მოიკლა.

# ირაკლი ფირცხალავას მეუღლე ნინო ხვიტია გამოკითხვაზე იმყოფება



კორტების სპეცოპერაციის საქმეზე მსჯავრდებული ირაკლი ფირცხალავას მეუღლე ნინო ხვიტია გამოკითხვაზე იმყოფება. „კორტების საქმის“ მოწმეზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, ნინო ხვიტია მაგისტრატ მოსამართლესთან იკითხება. როგორც ხვიტიამ გამოკითხვაზე შესვლამდე ჟურნალისტებს განუცხადა, ის გამოძიებას წარუდგენს იმ ჩანაწერებს, სადაც მოწმე პროკურატურის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და ცრუ ჩვენების მიცემაზე საუბრობს.

– ვაპირებ, გამოძიებას ვუთხრა ყველაფერი. დასამალი არაფერი მაქვს. რაც ჩემგან იქნება თქმული, ყველაფერი სიმართლეა. ჩემი ოჯახი ტერორის ქვეშაა. უსინდისობაა ის, რასაც მე მაბრალებენ, რომ თითქოს იდაყვის ქვეშ 30 ათასი დოლარი მედო. იქიდან რომ გამოვალ, ალბათ ვერაფერს ვერ ვიტყვი, რადგან სავარაუდოდ გაუთქმელობის პირობას ჩამომართმევენ. ყველანაირი დოკუმენტები გადავეცით, ვისაც საჭიროა იმათ, – განაცხადა ნინო ხვიტიამ და აქვე დასძინა, რომ მოწმე ბევრ ისეთ საკითხზე საუბრობს, რაც არაერთ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე მსჯავრდებულ ირაკლი ფირცხალავას ოჯახის ინფორმაციით, მათთან საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე კობა გოგატიშვილი მივიდა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავარი პროკურორის მოადგილის მამუკა ვასაძის მხრიდან მასზე ზეწოლა განხორციელდა, რის შედეგადაც მან გამოძიებას და სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცა და მსჯავრდებულები დანაშაულში ამხილა.

თავის მხრივ მოწმე კობა გოგატიშვილი რაიმე სახის ზეწოლას პროკურატურის მხრიდან კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ზეწოლას მასზე ფირცხალავას ოჯახი ახორციელებდა. გოგატიშვილის ინფორმაციით, ფირცხალავას ცოლი ნინო ხვიტია მას ჩვენების შეცვლის სანაცვლოდ 30 ათასი დოლარს და ქვეყნიდან გასვლაში დახმარებას დაჰპირდა. მოწმის ინფორმაციით, მას სიცოცხლის მოსპობითაც ემუქრებოდნენ, თუკი ის ჩვენებას არ შეცვლიდა.

# თურქეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

თურქეთის ტურისტულ ქალაქ დერმეში, რომელიც პროვინცია ანტალიაში მდებარეობს, საქართველოს 51 წლის მოქალაქე, ანა საფარიანი ქალაქის ცენტრში მოკლეს.

გამოცემა Hurriyet-ის ინფორმაციით, 10 სექტემბერს, ადგილობრივი დროით 18:00 საათზე, ქუჩაში ქალს დანით ექვსი ჭრილობა მიაყენეს, მათ შორის კისრის არეში, რის შემდეგაც თავდამსხმელი მიიმალა. მიყენებული ჭრილობებით საქართველოს მოქალაქე დერმეს სახელმწიფო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

მკვლელობის ფაქტზე 44 წლის მესუთ ოზკანი დააკავეს, რომელიც ადგილობრივი მცხოვრები აღმოჩნდა. დაკავების მომენტში ის ძლიერი ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა. მისი განცხადებით, მოკლულს ახლოს იცნობდა, დანაშაული კი ფულს უკავშირდება.

მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე მესუთ ოზკანმა მას 400 ლირა ასესხა, რომლის დაბრუნებასაც დიდი ხნის განმავლობაში სთხოვდა, რაზეც უარს იღებდა.



# შსს-მ კახეთში ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხის ფაქტები გამოავლინა



შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის და შსს-ს საპატრულო პოლიციის კახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1-დან 11 სექტემბრამდე ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხის ფაქტზე 19 პირი გამოავლინეს, ხოლო ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტზე ერთი პირი ამხილეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა მხილებულების ავტომანქანებიდან, უკანონოდ მოპოვებული ხის მორები და ფიცრები ამოიღეს, ხოლო ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში გამოვლენილი უკანონო სახერხი საამქრო დალუქეს, საიდანაც სამართალდამცველებმა ხე-ტყის გადამამუშავებელი დანადგარი და სხვადასხვა ჯიშის ხის მასალა ამოიღეს.

გამოძიება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ელი ნაწილით) მიმდინარეობს.

# ძალოვანი უწყების თანამშრომლებს ცემაში ადანაშაულებენ

ქობულეთში, რესტორან პალმის მიმდებარე ტერიტორიაზე ოთხ ახალგაზრდას სცემეს. ოთხივე მათგანს ცემის კვალი აღენიშნება.

ოთხი ახალგაზრდიდან ორს გადაადგილება არ შეუძლია, მათ დაზიანებები თავის არეში აქვთ მიყენებული.

დაშავებულები ვარაუდობენ, რომ მათ ძალოვანი უწყების თანამშრომლები გაუსწორდნენ.

– ღამის პირველ საათზე ვიყავით პარკში, დავინახე პიკაპი და რვა ადამიანი, რომლებიც ჩვენსკენ მორბოდნენ. არ ვიცი რატომ, სპეცდანიშნულების რაზმი იყო ალბათ, – ამბობს ერთ-ერთი დაშავებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს პირების იდენტიფიცირება.



# ავტოსაგზაო შემთხვევაში სამი სატრანსპორტო საშუალება ფიგურირებს



მ/ს დიდუბესთან ავარია მოხდა. ავტოსაგზაო შემთხვევაში მიკროავტობუსი №21, მსუბუქი ავტომობილი და ტრაილერი ფიგურირებს.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე სამართალდამცავები იმყოფებიან. მომხდარის გამო დიდუბის ამ მონაკვეთზე საცობებია.

თვითმხილველთა თქმით, ავტობუსმა არასწორი მანევრი გააკეთა, რა დროსაც ავტობუსსა და ტრაილერის ე.წ. მისაბმელს შორის გადასწრების მცდელობისას ტაქსისტმა ორივე მოძრავი საშუალება დააზიანა.

# ანგელა მერკელი ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა



გერმანიის კანცლერი მერკელი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეასა და დონბასში შექმნილი მდგომარეობა იყო.

მერკელის წინადადებას, რომ ჩრდილოეთ კორეის მიმართ სანქციები უნდა გაძლიერდეს, პუტინი ნაწილობრივ დაეთანხმა. რუსეთის პრეზიდენტმა შენიშნა, რომ მხოლოდ სანქციები პრობლემას ვერ გადაწყვეტს. პუტინის აზრით, აუცილებელია კომპრომისი: ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ გამოცდებს შეწყვეტს, მსოფლიო თანამეგობრობა კი უნდა შეეგუოს იმას, რომ ჩრდილოეთ კორეა ხელოვნურ თანამგზავრებს გაუშვებს, ჰყავს ძლიერი, კარგად აღჭურვილი არმია და ა.შ.

– პუტინიცა და მერკელიც ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ ძალის გამოყენება დაუშვებელია და კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

საინტერესო დისკუსია გაიმართა დონბასის გარშემო. პუტინის შეკითხვას, როგორ უყურებთ დონბასში გაერო-ს სამშვიდობოების განლაგებასო, მერკელმა დადებითად უპასუხა. ამავე დროს, გერმანიის კანცლერმა აღნიშნა, რომ სამშვიდობოები დონბასის მთელ ტერიტორიაზე უნდა განლაგდნენ. მერკელმა აღნიშნა, რომ გაეროს მშვიდობისმყოფელებმა ეუთოს მეთვალყურეები დონბასის მთელ ტერიტორიაზე უნდა დაიცვან. პუტინი დაეთანხმა.

გერმანიის კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ გაეროს მშვიდობისმყოფელთა ჩაყენება კიევის თანხმობის შემდეგ უნდა მოხდეს. რაც შეეხება ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებს, მერკელის აზრით, ისინი ხელოვნურ სტრუქტურებს წარმოადგენენ. შესაბამისად, მათი დასტური არ არის აუცილებელი. ამას გარდა, მერკელმა განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმებანი ყველა მხარემ უნდა შეასრულოს.

– გაეროს სამშვიდობოების ჩაყენება პირველი ეტაპია, მეორე – უსაფრთხო გარემოს შექმნა და მინსკის შეთანხმებების შესრულება, – თქვა მერკელმა.

– ჩვენ მინსკის შეთანხმებებს ვასრულებთ, – მიუგო პუტინმა.

– შეთანხმებები შესრულდება მაშინ, როცა დონბასს უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი დატოვებს, – უპასუხა მერკელმა.




# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სააკაშვილის უკრაინაში შეჭრის თაობაზე კომენტარი გააკეთა

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში შეჭრის თაობაზე კომენტარი გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ ყველა სადავო საკითხი მხოლოდ სამართლებრივი გზით უნდა მოგვარდეს.

– სხვაგვარად არ შეიძლება, – აცხადებს სახელმწიფო დეპარტამენტი.

ამერიკელები მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შესაძლო ექსტრადირების საკითხსაც შეეხნენ:

– ეს მხოლოდ უკრაინისა და საქართველოს საქმეა, – ნათქვამია განცხადებაში.

# რუსეთს ვაშინგტონთან ურთიერთობების აღდგენა სურს

ფინეთის დედაქალაქში ერთმანეთს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რიაბკოვი და აშშ-ის სახელწიფო მდივნის მოადგილე შენონი შეხვდნენ. საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები იყო.

– რუსეთს ვაშინგტონთან ურთიერთობების აღდგენა სურს, – განაცხადა რიაბკოვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თქვა, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები მოსკოვის გამო არ გაუარესებულა. რიაბკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი სრულფასოვანი და გულახდილი დიალოგისათვის მზად არის.



– იმედია, ჩვენი ამერიკელი პარტნიორები ჩვენკენ ნაბიჯს გადმოდგამენ და ყოველგვარი პრობლემა გადაწყდება, – ამბობს რიაბკოვი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ბრიჯიტ ბრინკი საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს პოზიტიურად აფასებს

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს პოზიტიურად აფასებს და ქვეყნის მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს მიესალმება. ამის შესახებ ბრიჯიტ ბრინკმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გუშინდელი შეხვედრისას განაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, მხარეებმა საქართველო-ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორობაზე, ქვეყანაში დაგეგმილ რეფორმებზე, ასევე საქართველოში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის ვიზიტზე ისაუბრეს.

პრემიერის შეფასებით, ვიცეპრეზიდენტ პენსის ვიზიტმა საქართველოში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აშშ საქართველოს ერთგული მეგობარი, სანდო გეოპოლიტიკური მოკავშირე და უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორია.

შეხვედრისას ასევე ხაზი გაესვა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში საქართველოს მხარდაჭერას განაგრძობს.

შეხვედრას აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იან კელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თედო ჯაფარიძე დაესწრნენ.

# გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო



გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეის საკითხი განიხილა. აშშ-ის მიერ მომზადებული რეზოლუციის ტექსტი ჩრდილოეთ კორეისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტას ითვალისწინებდა. რუსეთის წარმომადგენელმა ამ რეზოლუციის მიღებას მხარი არ დაუჭირა. ანალოგიური იყო ჩინეთის პოზიციაც.

შედეგად რეზოლუციის ტექსტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებას მხარი დაუჭირა, მაგრამ ამერიკელების მიერ მომზადებული ტექსტიდან რამდენიმე მუხლი ამოიღეს.

# აშშ-ში 11 სექტემბრის ტრაგედიის მე-16 წლისთავს აღნიშნავენ



აშშ-ში 11 სექტემბრის ტრაგედიის მე-16 წლისთავი აღნიშნეს. პრეზიდენტი ტრამპი მეუღლესთან ერთად სამგლოვიარო ცერემონიას დაესწრო. ტრამპმა მოსახლეობას მიმართა. მან განაცხადა, რომ 16 წლის წინ ამერიკას ძლიერი დარტყმა მიაყენეს.

– ასეთი ძლიერი დარტყმა ამერიკას პერლ-ჰარბორის შემდეგ არ მიუღია! –თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ტრაგედიამ ამერიკელი ერი შეკრა. ტერორისტებმაც ქვეყანას ვერაფერი დააკლეს.

– მომავალშიც ასე იქნება, – ამბობს ტრამპი.

# მუსკრონის მერი მკვდარი იპოვეს

ბელგიის ქალაქ მუსკრონის (50.000 მცხოვრები) მერი მკვდარი იპოვეს. ამის თაობაზე „რია ნოვოსტი“ იტყობინება. მერს მხეცურად გაუსწორდნენ. მისი ყელგამოჭრილი გვამი სასაფლაოზე აღმოაჩინეს.

თანახმად ბელგიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობისა, მკვლელი უკვე დაპატიმრებულია. ჯერჯერობით დანაშაულის მოტივი არ არის დადგენილი. მიმდინარეობს გამოძიება.

# ევროკავშირმა ყირიმის არჩევნები არ აღიარა



ევროკავშირმა ყირიმის არჩევნები არ აღიარა. ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ ამის თაობაზე სპეციალური განცხადება გააკეთა:

– ყირიმი უკრაინის კუთვნილებაა. ამჟამად ეს ტერიტორია ოკუპირებულია და ნებისმიერი არჩევნები ყირიმში უკანონოა, – თქვა მოგერინიმ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ასპროცენტიანი ლელო, ხარებში და აია იგებენ

### ლელო-არმია 39:15

დედაქალაქურ დერბიში ლელო-სარასენსმა არმია დაამარცხა, პირველი ტურის მსგავსად, მოგების ბონუსი ამჯერადაც მიითვალა და სატურნირო ცხრილს ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს.

ტაიმზე მეტი თანაბარი ანგარიში იყო. ჯერ მერაბ კვირიკაშვილმა ხაზი გაჭრა და ლელო გაიტანა, ხოლო ირაკლი ყიასაშვილმა გასატანი პოზიციიდან გარდასახა. არმიამ მალევე უპასუხა: მათი შეტევა მასპინძლებმა ჯარიმის ხარჯზე შეაჩერეს, შალვა დავითაშვილმა სწრაფად გაითამაშა და თავადვე შეუტია, ბურთი გენო ხელიამ აიტაცა და ლელოში დაამიწა, ხოლო გოდერძი ჭინჭარაულმა გარდასახა – 7:7.

ლელო-სარასენსმა ლიდერობა 33-ე წუთზე დაიბრუნა. თორნიკე ახობაძე განზე გაიქცა, ყიასაშვილი ჯვარზე შეიყვანა და მან წარმოქმნილი სივრცით შესანიშნავად ისარგებლა. ლელოს ავტორმა გარდასახვაც ზუსტად შეასრულა. ზედ შესვენების წინ არმიამ დერეფნიდან მოლი დააყენა და ლევან ჭავჭავაძემ ძალისმიერი ლელო გაიტანა, გარდასახვა არაზუსტი იყო და მასპინძლები შესვენებაზე 2-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მეორე ტაიმის დებიუტში მასპინძლები დაჯარიმდნენ და შაკო მახარაშვილმა ჯარიმით არმია დააწინაურა (15:14), მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ლელო-სარასენსმა ერთბაშად იფეთქა და 10-წუთიან მონაკვეთში 20 ქულა მოიხვეჭა. ბექა სალინაძისა და როლანდ კვაჭაძის კარგი თამაშის შემდეგ, ლელო თორნიკე ახობაძემ გაიტანა; მეორე ლელო ნიკა სვიმონიშვილის ანგარიშზეა, რომელიც მოლს დროულად მოწყდა, ხოლო ყიასაშვილმა 2-2 ჯარიმა და გარდასახვა გაიტანა – 34:15. ლელო-სარასენსს შანსი გაუჩნდა და 68-ე წუთზე პრემიის მომტანი ლელოც გაიტანა: კვირიკაშვილისა და ყიასაშვილის ოფლოუდების შემდეგ ბურთი რევაზ მარგალიტაძემ დაამიწა.

ამრიგად, ლელო-სარასენსმა საწყის ორ ტურში ქულათა მაქსიმუმი (10) აიღო და მომდევნო ტურში აიას ქუთაისში ეწვევა.

### ხარები-ლოკომოტივი 22:15

ელიტაში დაბრუნებულმა რუსთავის ხარებმა, ახალი სეზონის სტარტზე ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო.

როგორც პირველ ტურში, რუსთაველებმა პირველი ტაიმი დათმეს, თუმცა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და მატჩი დასკვნით წუთებში შემოაბრუნეს.

21-ე წუთზე მასპინძელთა ბურჯი გიორგი ციცვიძე შერკინებაში ჩავარდნისთვის გასინბინდა, თუმცა კაცნაკლულმა მასპინძლებმა ანგარიში თავად გახსნეს. მეტოქის 22-ში ვაჟა ხუციშვილმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშა და დაახლოებით 1-წუთიანი მცდელობის შემდეგ, ლელოში გიორგი ბასილაია შევიდა, ხოლო ხუციშვილმა გარდასახა. 33-ე წუთზე ხარებმა 10 წუთით ლაშა გოგიაშვილიც დაკარგა და ბექა წიკლაურმა ჯარიმა გაიტანა, დასკვნით 5 წუთში კი მაყურებელმა 3 ლელო იხილა.

შერკინებაში რკინიგზელთა უპირატესობამ შედეგი 36-ე წუთზე გამოიღო, რუსთაველები საჯარიმო ლელოთი დაისაჯნენ. ორიოდე წუთში გიორგი შკინინმა ფეხით გადაიკიდა ბურთი, მას ლელოში თავადვე დაეწია და დაამიწა – 7:15, რადგან გარდასახვა არაზუსტი იყო. შესვენებამდე აღარაფერი რჩებოდა, როდესაც გურამ ქანდაურაშვილმა ლოკომოტივის 22-ში წარმოქმნილი ქაოსით ისარგებლა და ლელოთი ჩამორჩენა შეამცირა – 12:15.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა და 77-ე წუთამდე გუნდებმა ქულების აღება ვერ მოახერხეს. მერე ხარები გოგიაშვილის ლელოთი დაწინაურდა, რადგან გარდასახვა არაზუსტი იყო, სტუმრებს მოგებისთვის ერთი ჯარიმაც ყოფნიდათ, თუმცა თავად დაჯარიმდნენ, ხარებმა კარში დარტყმას ლელოზე თამაში არჩია და არც შემცდარა – მოლი 5 ქულით ერეკლე მაჭარაშვილმა დაასრულა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა (22:15).



### აკადემია-აია 18:23

სტუმრებმა ანგარიში მე-16 წუთზე გახსნეს: თორნიკე მანაგაძემ ცენტრალური ხაზის სიახლოვეს გადაცემა ჩაჭრა და ძელებსშუამდე ირბინა, ხოლო გიორგი ბაბუნაშვილმა კარის წინიდან გარდასახა. აკადემიამ 23-ე წუთზე უპასუხა, მეტოქის 22-ში დერეფნიდან შეუტია, მორკინალების მიძალების შემდეგ ანზორ სიჭინავამ 2 მბოჭავი კონტაქტით ჩამოიშორა და ლელოს მისწვდა. გარდასახვა არაზუსტი იყო, მერე ბაბუნაშვილმა და დავით მოძღვრიშვილმა ჯარიმები გაცვალეს, სულ ბოლოს აიას მგეზავმა კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და ქუთაისელებმა ტაიმი 13:8 მოიგეს.

მეორე ტაიმი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს და უპირატესობა გაზარდეს, ლელო მიხეილ გორგასლიძემ გაიტანა და ბაბუნაშვილმა გარდასახა. მოძღვრიშვილმა ჯარიმით 53-ე წუთზე უპასუხა, თუმცა 6 წუთში ბაბუნაშვილმა აიას 12-ქულიანი უპირატესობა დაუბრუნა. აკადემიამ მონდომა და ეს მონდომება 75-ე წუთზე დაუფასდა, ირაკლი ლუარსაბიშვილმა მარჯვენა ალამთან ლელო გაიტანა, ხოლო მოძღვრიშვილმა გარდასახა და სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანა. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა...

### ბათუმი-ბაგრატი 43:3

ბათუმში გამართული მატჩის პირველი ტაიმი სანახაობრივი ვერ გამოდგა. ორივე გუნდი ცდებოდა, ხშირი იყო შეჩერებები და ვერც ერთი გუნდი ახერხებდა უპირატესობის მოპოვებას. ბახვა კობახიძემ და ზვიად ოდიშარიამ ჯარიმები გაცვალეს, 31-ე წუთზე ალექსი ტუჩაშვილმა ბურთი მაღალ სიჩქარეზე მიიღო, ხაზი სუფთად გაჭრა და ძელებამდე 40 მეტრი ირბინა. კობახიძის გარდასახვა ზუსტი იყო – 10:3.

მეორე ტაიმში ბათუმი მოედანზე უფრო მოტივირებული გავიდა, ტემპს უმატა და ლამაზი ლელოები გაიტანა. ლაშა ხმალაძემ ხაზი დებიუტშივე გაჭრა, ბურთი მარცხენა ფრთაზე ჩათამაშდა და დავით ტრაპაიძემ ლელო გაიტანა. 48-ე წუთზე ბექა ურჯუკაშვილი მარჯვენა ფრთაზე მაღალ სიჩქარეზე გაიქცა და მისი შეჩერება ვერავინ მოახერხა. კობახიძემ მხოლოდ პირველი გარდასახა – 22:3.

მასპინძლები ინიციატივას ფლობდნენ, თუმცა მეოთხე ლელო მხოლოდ 70-ე წუთზე გავიდა: ხმალაძემ კიდევ ერთხელ გაჭრა ხაზი და სიჩქარე აკრიფა, მას კარგად მიყვა ურჯუკაშვილი და ბურთი კვლავ მარჯვენა ალამთან დაამიწა. ამჯერად კობახიძეც ზუსტი იყო. მერე ტუჩაშვილის ჯერი დადგა, ახლა ის დაუსხლტა მბოჭავს, მას კობახიძე მიყვა და თანაგუნდელმა პასი არ დაუგვიანა. ბოლო ლელო ვანო ფუტკარაძემ მიითვალა, კობახიძის გარდასახვები ზუსტი იყო და დიდი 10-ის მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი სხვაობა დაფიქსირდა – 43:3.

### ჯიქი-არმაზი 20:14

ანგარიში მასპინძლებმა დებიუტშივე გახსნეს – მამუკა ნინიძის ჯარიმა ზუსტი იყო. არმაზი დალაგდა და მწვავე კონტრშეტევებით უპასუხა და მეორე ჯერზე სანდრო სვანიძემ ლელო გაიტანა, ხოლო რეზი ჯინჭველაშვილმა გარდასახა. ტაიმის შუაში სტუმრები სახიფათო ბოჭვისთვის დაჯარიმდნენ და ნინიძემ ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, თუმცა 32-ე წუთზე მეორე ლელო მიიღო: ნიკა გიგაურმა მარჯვენა ფლანგზე გაჭრა ხაზი და კარგად ირბინა, ჯინჭველაშვილმა რაქიდან გამოსული ბურთი ფეხით საპირისპირო ფლანგზე დაკიდა, გიორგი კვესელაძემ მცველს საჰაერო ბრძოლაში აჯობა და ლელოში დაეშვა, ხოლო ჯინჭველაშვილმა გარდასახა.

ტაიმის მიწურულს ჯიქმა ლელოთი უპასუხა: ორი ჯარიმით მეტოქის ლელოს 5 მეტრამდე მიუახლოვდა, დერეფანში ბურთის მოგების შემდეგ გიორგი მჭედლიშვილმა შეუტია, მართალია ხაზთან შეაჩერეს, მაგრამ რობერტ სუთიძემ ბურთი აიღო და ის ველარავინ შეაკავა. ნინიძე გარდასახვიდან ზუსტი იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჯინჭველაშვილის არეკნი ძელს მოხვდა, მერე მას და ნინიძეს ჯარიმები გაუცუდდათ, 55-ე წუთზე კი ჯიქი დაწინაურდა. გორელებმა დერეფნიდან მოლი ააგორეს და გიორგი ჭყოიძემ ახალ კლუბში პირველი ლელო მიითვალა, ხოლო ნინიძემ გარდასახა. მიუხედავად არმაზის დიდი მონდომებისა და შანსებისა, დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და საქართველოს ჩემპიონმა სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა – 20:14.

# ჯობავა მერვედფინალშია



თბილისში მიმდინარე საჭადრაკო მსოფლიო თასზე, ქართველ ქომაგთა სასიხარულოდ, ეროვნული ნაკრების ლიდერმა ბაადურ ჯობავამ დამატებით ტაი ბრეიქში დაამარცხა რუსი დიდოსტატი იან ნეპომნიაში და მერვედფინალის საგზური მოიპოვა. თბილისელი დიდოსტატი მსოფლიოს 16 საუკეთესო მოჭადრაკეს შორის მოხვდა და პირველად იასპარეზებს მსოფლიო თასის მერვედფინალში. აქამდე მისი საუკეთესო შედეგი მე-3 წრეში ასპარეზობა იყო. მეოთხე წრეში მისი მეტოქე მსოფლიოს საჭადრაკო რეიტინგ-სიის მე-7 ნომერი, აშშ-ის სახელით მოასპარეზე, წარმოშობით ფილიპინელი უესლი სო იქნება.

მსოფლიო ჭადრაკში ნორვეგიელი მაგნუს კარლსენის შემდეგ ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ფრანგი მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი მომდევნო წრეში იასპარეზებს, რომელმაც ლინდერმანი დაამარცხა.

სამაგიეროდ, კიდევ ერთი ფავორიტი, ფაბიანო კარუანა დატოვებს ადრიანად მსოფლიო თასს. ამერიკელმა დიდოსტატმა რუს ევგენი ნაერთან დაყარა ფარ-ხმალი.

2005 წლის მსოფლიო თასის გამარჯვებულმა, ლევონ არონიანმა მძიმე ბრძოლაში გამოგლიჯა მერვედფინალის საგზური ევროპის მოქმედ ჩემპიონ მაქსიმ მატლაკოვს.

მსოფლიო თასს დატოვებს ჩეხი დიდოსტატი დავიდ ნავარაც. ხოლო რუსი დიდოსტატი ალექსანდრ გრიშუკი თასისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

თავი გამოიჩინა ქართველების სიძემ ანიშ გირიმ. დამატებითებში მისი მსხვერპლი ინდოელი სეტურამანი გახდა.

ტურნირზე ჩინელების რისხვა გახდა რიჩარდ რაპორტი. უნგრელმა დიდოსტატმა უკვე 2 ჩინელი გაუშვა სახლში.

**მეოთხე წრეში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:**

ბუ სიანჩჟი (2714)-პიოტრ სვიდლერი (2756); მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (2804)-ალექსანდრ გრიშუკი (2788); ვასილი ივანჩუკი (2727)-ანიშ გირი (2777); ლევონ არონიანი (2802)-დანილ დუბოვი (2666); უესლი სო (2792)-ბაადურ ჯობავა (2702); ვლადიმირ ფედოსეევი (2731)-მაქსიმ როდშტეინი (2695); ევგენი ნაერი (2694)-რიჩარდ რაპორტი (2675); ვანგ ჰაო (2701)-დინგ ლირენი (2771);

# მოურინიო პრემიერლიგის ფორმატს იწუნებს

ჟოზე მოურინიოს მიაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ინგლისურები გუნდების ბოლო დროინდელი წარუმატებლობა ზამთარში ინგლისური კლუბებისთვის დასვენების საშუალების არქონას უკავშირდება.

2012 წელს ჩელსის მიერ ტურნირზე გამარჯვების შემდეგ პრემიერლიგის გუნდები მერვედფინალს მხოლოდ 4 შემთხვევაში გასცდნენ.

მოურინიომ გასულ წელს ევროპა ლიგაზე ასპარეზობისას არაერთხელ გააკრიტიკა ინგლისის უმაღლესი ლიგის ორგანიზატორები, რომელთაც თავიანთი ქვეყნის კლუბების უზრუნველობაში დასდო ბრალი.

2017-18 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩის წინ კი იმავე აზრზე რჩება და საფეხბურთო ჩინოვნიკებს კვლავ უტევს.

**ჟოზე მოურინიო:**

– ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ შარშან მადრიდის რეალმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო თვე სათადარიგო შემადგენლობით ჩაატარა. მათ შეეძლოთ ამის გაკეთება და ჩემპიონთა ლიგის ფინალს დასვენებული გუნდით შეხვდნენ. იუვენტუსი კი იტალიაში 3 თვით ადრე გახდა ჩემპიონი და მეოთხედფინალს, ნახევარფინალსა და ფინალს დასვენებული გუნდით თამაშობდა.

ინგლისური კლუბებისთვის კი ეს შეუძლებელია. არავითარი ზამთრის შესვენება არ არსებობს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისური ფეხბურთის საშობაო პერიოდი მიყვარს.

სხვა ქვეყნები იცავენ თავიან კლუბებს. მაგალითად, ბენფიკამ პარასკევს ითამაშა. პორტუგალიასა და



იტალიაში ამას ყოველთვის ვაკეთებდით. პარი სენ ჟერმენმა პარასკევს ითამაშა. ყოველთვის ასე ხდება, მაგრამ არავითარი ჩივილი. ჩვენ გვყავს გუნდი და თუ დაინახავ, რომ ვინმე დაიღალა, ის უნდა შეცვალო და სხვა ათამაშო.



ესპანური გამოცემების ინფორმაციით, მადრიდის რეალის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა ახალი ფორვარდის კანდიდატურა უკვე წარადგინა.

# რეალმა თვალი ვერნერს დაადგა

რეალის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დედაქალაქურ კლუბს ფორვარდი ბუნდესლიგიდან შეუერთდება.

და იმავე წამში ატყდა აჟიოტაჟი რობერტ ლევანდოვსკიზე. გერმანულ გამოცემებზე დაყრდნობით, ლევანდოვსკის მიუნხენის ბაიერნთან ურთიერთობა ძალიან დაეძაბა. პოლონელ ფეხბურთელს ბოსებთან უსიამოვნება აქვს. ანალოგიურ მდგომარეობაშია რობერტის აგენტი, რომელმაც უკვე შეთავაზებების მოსმენაც დაიწყო.

ბილდის ინფორმაციით, ლევანდოვსკის წასვლის შანსი ძალიან დიდია, ინტერესს კი მადრიდის რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი იჩენს.

თუმცა, გაჟღერდა სხვა ინფორმაცია და როგორც ირკვევა, ლევანდოვსკი არაფერ შუაშია – პერესი ბუნდესლიგიდან კი აპირებს ფეხბურთელის გადაყვანას, მაგრამ საქმე ეხება შარშანდელ სეზონში 27 გატანილი გოლის ავტორ ტიმო ვერნერს.

ჯერჯერობით სხვა დეტალები არ ხმაურდება...

# შედეგები

**11 სექტემბერი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ჰადერსფილდი ............. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-2 | 10 |
| 2.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 |
| 3.ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 4.უოტფორდი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 5.ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 6.ჰადერსფილდი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 7.ბარნლი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 8.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 8-8 | 7 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 10.ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 11.არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| 12.სტოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 13.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 14.ბრაიტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 16.ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 17.ლესტერი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-8 | 3 |
| 18.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| 19.ბორნმუთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |
| 20.კრ.პალასი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-7 | 0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ლას პალმასი ..................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 9 |
| 2.სოსიედადი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-4 | 9 |
| 3.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 4.ბილბაო | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| 5.ლეგანესი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 6.ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-3 | 5 |
| 7.რეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 8.ლევანტე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 9.ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.ხეტაფე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11.ხირონა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 12.სელტა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 13.ვილიარეალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.ლას პალმასი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 15.ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 16.ეიბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 17.დეპორტივო | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |
| 18.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 19.მალაგა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| 20.ალავესი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რეუსი-ნუმანსია ............................ 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-ზ.პაული ..................... 0:1

**იტალია. სერია ბ**

ჩიტადელა-პერუჯა ........................ 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-ბრესტი ............................ 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ავეში-ბელენენსეში ........................ 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-სკა ენერგია ........................ 1:1

ურალის გოლი გიორგი ჭანტურიამ გაიტანა

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-პაოკი ............................ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-მალათია ........................ 3:2

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

პიასტი-ლეხია .............................. 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-სილკებორგი ................ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-დიურგარდენი ......... 1:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიოლდე-ოდ გრენლანდი ............. 2:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ლახტი-კუუპიო ............................. 1:1

სეინეიოკი-ვაასა .......................... 2:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# თედო ჯაფარიძე: „სააკაშვილმა უკრაინის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა“

ნათია ხურცილავა



პრემიერ-მინისტრის საერთაშორისო საკითხებში მრჩეველი თედო ჯაფარიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მოხდება თუ არა საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება საქართველოში, არ იცის.

***— ბატონო თედო, როგორ აფასებთ მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას? ფიქრობთ, რომ ეს არის მისი პოლიტიკური განახლების მცდელობა?***

— სამწუხაროდ თუ ჩემთვის საბედნიეროდ, სააკაშვილის გეგმებს, პოლიტიკური იქნება თუ პირადი ხასიათის, ასევე მის გადაადგილებებს თვალყურს არ ვადევნებ.

რაც მან ჩაიდინა, ვინც არ უნდა იყოს სააკაშვილი, ჯაფარიძე თუ ნებისმიერი სხვა გვარისა თუ ეროვნების წარმომადგენელი, არის დანაშაული. სააკაშვილმა ერთი დამოუკიდებელი ქვეყნის საზღვარი გაარღვია ასეთი აგრესიული ფორმით, რაც, ჩემი აზრით, როგორც გითხარით, დანაშაულია.

ამ დროს რას ფიქრობდა სააკაშვილი და რისთვის გამოიყენებს ამ ყველაფერს, ჩემთვის გაურკვეველია. რა უდევს თავში, რა გეგმები აქვს, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს საკუთარი გეგმების მისაღწევად, ძალიან რთული სათქმელია.

თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ის, რაც ბატონმა სააკაშვილმა გააკეთა, უკრაინის სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მიმართული ნაბიჯებია. ეს ნაბიჯები არის იმ გეგმის ნაწილი, რომელიც პუტინს უდევს თავში. შეიძლება ეს დამთხვევაა, შეიძლება სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ამ ქმედებით არასტაბილურობა შეიტანა უკრაინაში, რაც უნდა პუტინს.

***— სააკაშვილმა თქვა, რომ ის სისტემას ებრძვის უკრაინაში. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— არ ვიცი, რას ებრძვის. ის იყო ოდესის გუბერნატორი და ამაზე დიდი თანამდებობა რა შეიძლება ჰქონოდა მას? თუ რამე შეეძლო, გაეკეთებინა. მას ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ებრძოლა და უფრო უკეთესი გაეხადა ის სისტემა, მაგრამ სააკაშვილი, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქე და ახლა უკვე მოქალაქეობის არმქონე პირი, აკეთებს იმას, რაც ზუსტად ესადაგება პუტინის გეგმას უკრაინის მიმართ.

***— ნაციონალურმა მოძრაობამ განცხადება გააკეთა, რომ სააკაშვილის ქმედებით დამარცხდა პოროშენკო უკრაინაში, დამარცხდა პუტინი ევრაზიაში და დამარცხდა ივანიშვილი საქართველოში. ამას როგორ შეაფასებთ, მართლაც გაიმარჯვა სააკაშვილმა?***

— სააკაშვილმა თავისი თავი დაანგრია და უკრაინაში არასტაბილურობა შექმნა.

***— ბატონო თედო, პოლიტიკურ პროცესზე გეკითხებით.***

— სააკაშვილი დიდ გავლენას არ ახდენს რაიმე პოლიტიკურ პროცესზე. ის არის ადამიანი, რომელიც მხოლოდ, უკაცრავად, მაგრამ საკუთარ „ხუშტურებს“ მიჰყვება. ამ თავის ამბიციებს უნდა გადააყოლოს საკუთარი თავი, საკუთარი ოჯახი, რაც არანაკლებად მტკივნეული იყო ჩემთვის, როდესაც დავინახე უმცროსი სააკაშვილი, მისი შვილი და ის ქვეყანა, რომელმაც ის შეიფარა. უკრაინამ მას ხელი გაუწოდა, თავად პოროშენკომ, მან კი რა გააკეთა.

***— საქართველოს ექსტრადირების მოთხოვნა აქვს გაგზავნილი. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ პროცესს? კითხვა ისმის, რატომ ახლა მაინცდამაინც არჩევნების წინა პერიოდში? რას უპასუხებთ მათ, ვისაც ეს კითხვა აქვს?***

— ეს არის ყურით მოთრეული თემა. ვისაც უნდა, რომ ამ საკითხით სპეკულირება მოახდინოს, მას ეს შეუძლია. დღეს ბატონი სააკაშვილი გახლავთ უკრაინის კანონმდებლობის დამრღვევი, ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა უკრაინის მიმართ და ალბათ ის აგებს პასუხს იმ კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც უკრაინას აქვს.

***— სამართლებრივი პროცესი დაიწყება?***

— რა თქმა უნდა, უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

***— ექსტრადირებასთან დაკავშირებით გეკითხებით.***

— არ ვიცი.

# ჰემინგუეის სახლის თანამშრომლებმა ევაკუაციაზე უარი განაცხადეს



ამერიკის ფლორიდის შტატის დასახლება კი-უესტში მდებარე ერნესტ ჰემინგუეის სახლის თანამშრომლებმა კატების გამო მუზეუმის დატოვებაზე უარი განაცხადეს.

მიუხედავად იმისა, რომ კი-უესტის მცხოვრებლებს დაბეჯითებით ურჩიეს ქარიშხლის მოახლოვების გამო დასახლება დაეტოვებინათ, ჰემინგუეის მუზეუმის თანამშრომლებმა, რომელიც XIX საუკუნის სახლშია განთავსებული, ადგილზე დარჩენის გადაწყვეტილება მიიღეს, რათა შეძლებისდაგვარად გაფრთხილებოდნენ ქონებას და რამდენიმე ათეული კატის კეთილდღეობაზე ეზრუნათ, რომლებიც მწერლის სახელგანთქმული კატის, სახელად სნოუბოლის, შთამომავლები არიან.

ქარიშხალმა „ირმამ“ უკვე მიაყენა დარტყმა დასახლება კი-უესტს. ქარის სიჩქარე 175 კილომეტრს აღწევდა საათში, ხოლო ტალღების სიმაღლე – 4,6 მეტრს. ჰემინგუეის სახლი ქალაქ ფლორიდა-კისის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წერტილში მდებარეობს.

# ავსტრალიაში სანაპიროზე გამორიყული ზვიგენი საზოგადოებრივ აუზში მოათავსეს



ახალგაზრდა თეთრი ზვიგენი ავსტრალიის ქალაქ სიდნეის ერთ-ერთ პლაჟზე გამოირიყა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ხმელეთზე გამორიყული მტაცებელი თევზი დაჭრილი იყო. თვითმხილველებმა მაშველები გამოიძახეს, რომლებმაც ზვიგენი იქვე ახლოს მდებარე საზოგადოებრივი სარგებლობის აუზში გადაიყვანეს. ცხოველი იქ სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ იქნება, სანამ ისინი არ გადაწყვეტენ, მზად იქნება თუ არა ზვიგენი ოკეანეში დასაბრუნებლად. ზოგიერთის შეფასებით, ეს შესაძლოა უახლოეს დღეებშიც მოხდეს. თავად აუზი კი მანამდე იქნება დახურული, სანამ იქ თეთრი ზვიგენი ეყოლებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პაულო დიბალა: „მესისთან, რონალდუსთან და ნეიმართან მსგავსება აღფრთოვანებას იწვევს“

სპორტი




ბოლო დრო ასევე პოპულარული გახდა 2 არგენტინელი ფეხბურთელის, პაულო დიბალასა და ლეო მესის შეწყვილება ბარსელონაში.

ამ საკითხზე თავად დიბალამაც ისაუბრა.

***— ითამაშებდით თუ არა მესისთან ერთად კლუბში?***

— წილად მხვდა ბედნიერება, რომ ლეოსთან ერთად ნაკრებში ვითამაშო. რა იქნება მომავალში, ამაზე ვერაფერს გეტყვით. მთავარია, რომ იუვეში თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ! სწორედ წელს მივიღე გადაწყვეტილება 10-ნომრიანი მაისურის თაობაზე. ვიცი, თუ რამდენს ნიშნავს ეს კლუბისთვის, რადგან ამ ციფრებით ტურინელთა რიგებში მართლაც ღირსეულები ირჯებოდნენ.

***— მიმართა თუ არა ბარსელონამ ტურინულ კლუბს თქვენი შესყიდვის თაობაზე?***

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ერთადერთი, რაც კლუბმა შემატყობინა, იყო ის, რომ მათი პროექტისთვის მე მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ და თან დიდი ხნით. ბუნებრივია, ამ ფაქტმა ძალიან გამაბედნიერა. ამიტომაც გადავწყვიტე ამ ნომრის აღება და ყველაფრის გაკეთება, რაც შემიძლია.

***— სადამდე აპირებთ იუვენტუსში დარჩენას?***

— სანამ კლუბს და პრეზიდენტს ჩემი იუვეში ხილვა მოუნდებათ, აქ ვიქნები! პირადად ჩემთვის 10-იანით ასპარეზობა დიდი სიამოვნებაა იმ ფაქტის გამო, თუ ვის ეცვა იგი ჩემამდე. საერთო ჯამში კი, არაფერი შეცვლილა. შევეცდები ჩემი საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენო და პარტნიორებს წარმატების მიღწევაში დავეხმარო.

***— შეძლებს იუვენტუსი, შარშანდელი შედეგი წელს გააუმჯობესოს?***

— შარშანდელ სეზონში ჩვენგან ამ შედეგს მაინცდამაინც არავინ ელოდა, ამიტომ, წელს მოლოდინი უფრო დიდია.

***— თავად როგორ გრძნობთ თავს სეზონის სტარტზე?***

— შესანიშნავად! წინასასეზონო შეკრებამ ფანტასტიკურად ჩაიარა. არგენტინაში დაბრუნების შემდეგაც ბევრს ვვარჯიშობ და შედეგად იდეალურ კონდიციებში ვიმყოფები. მესმის, რაოდენ მნიშვნელოვანი სეზონი მელის წინ, როგორც იუვეში, ასევე არგენტინის ნაკრებში. სეზონის ბოლოს მუნდიალი გველის და ჩვენთვის იგი ბევრს ნიშნავს.

***— ხშირად გადარებენ მესის, რონალდუს, ნეიმარს.***

— ეს მსგავსება მხოლოდ აღფრთოვანებას იწვევს. ეს ნიშნავს, რომ სწორ გზაზე ვიმყოფები. ფაქტია, ხალხი ჩემში რაღაცას ხედავს. ალბათ, მომავალს. თუმცა, თავს მშვიდ გარემოში ვინარჩუნებ და ვაგრძელებ პროგრესირებას დღიდან დღემდე. ნუ გავიწყდებათ, რომ მესიმ და რონალდუმ წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწიეს. ნეიმარიც მათ შორისაა, რომელიც პირადად ჩემთვის განსაკუთრებულია.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 13 სექტემბერი



**ვერძი** – სამსახურში წარმატება გელით, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ, ნუ იჯიუტებთ. **კურო** – დროებით დეპრესია შემოგიტევთ, მაგრამ სულ მალე ღრუბლები გაიფანტება და თავს ისევ ხალისიანად და ლაღად იგრძნობთ. **ტყუპები** – იშრომეთ, ისწავლეთ და შედეგიც არ დააყოვნებს. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – ემოციები მოთოკეთ. მეორეხარისხოვან თემებზე გაბრაზება არ ღირს. **ლომი** – იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე. მიზნის მიღწევისას დაბრკოლებების გადალახვა მოგიწევთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპების დაცვას ნუ ეცდებით და ნურც ნურავის შეეჯიბრებით. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებს. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ყოფითი პრობლემების მოგვარება იოლი არ იქნება. **ღრიანკალი** – ინტუიციას მიენდეთ, რომელიც დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მშვილდოსანი** – დროს უქმად ნუ დაკარგავთ. ჭორებს არ აჰყვეთ. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. პარტნიორის აზრს პატივი ეცით. **მერწყული** – ყოფით პრობლემებზე მაღლა დადექით. საკუთარი თავი კრიტიკულად შეაფასეთ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნუ იქნებით მიამიტი. რეალობა სათანადოდ მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მოქმედი ვულკანი ანტარქტიდაში; 2. ინგლისელი მიკრობიოლოგი, რამდენიმე ვიტამინის აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რაიმეს აგებულება, აღნაგობა, წყობა; 4. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 5. კატასტროფა, წარღვნა; 10. მაღალხარისხოვანი ბროლი; 11. სპორტული ნაგებობა; 12. ხელოვნური აბრეშუმი; 13. ნახევარკუნძული აშშ-ში; 16. ლეონ კავალოს ოპერა; 17. სამღებროების რიგი ძველ თბილისში; 19. კუთხე საქართველოში; 21. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 23. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში.

**თარაზულად**: 6. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 7. მღვდლის ცოლი; 8. ავტონომიური ოლქი ესპანეთის სამხრეთში; 9. ტროას ომის გმირი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვრელი კონცერტზე, თეატრალურ წარმოდგენაზე; 15. პირისახისა და სხეულის კანის მოვლა-გალამაზება; 18. ცნობილი ქართველი უფოლოგი; 20. ბაღი ძველ ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს სკოლა; 22. შეუკაზმავად მოხარშული ძროხის ან ცხვრის ხორცი; 24. ოთხშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 25. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 26. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აკაპელა; 2. ფილტრი; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ბონო; 11. ტროტილი; 13. რავიოლი; 15. ალილო; 16. თოიძე; 18. რუმბი; 19. სენტო.

**თარაზულად:** 6. კოვბოი; 8. გიენოსი; 9. ქაშვეთი; 10. ესკორტი; 12. გირჩი; 14. ჟიგოლო; 17. ნოვარტისი; 20. უნისონი; 21. პლებეი; 22. ბენტლი; 23. ცელსიუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლაუდერი; 2. ბაზილიკა; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. დიბალა; 11. ფართინგი; 12. ლუიდორი; 13. კამბუზი; 16. ბატერფლაი; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ეკერი; 23. ამონი.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. ფიტარეთი; 14. ლაშარელა; 15. ამირეჯიბი; 18. ლეგია; 20. ნოკაუტი; 22. ქიაჩელი; 24. სკოპიე; 25. პლომბირი; 26. ვინილი.

# მცხეთაში ისტორიული ძეგლი საპირფარეშოდ არის ქცეული



ისტორიულ ქალაქ მცხეთაში არაგვის კარში ყოფილი კინოთეატრი საპირფარეშოდ არის ქცეული.

ინფორმაცია და ფოტოები დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– ქალაქი მცხეთა, ისტორიული არაგვის კარი და ყოფილი კინოთეატრი, ფოტოები ამა წლის აგვისტოში გადავიღე.

ფოტოები ვერ გადმოსცემს იმ ანტისანიტარიასა და საშინელ სუნს, რაც ამ საპირფარეშოდ ქცეულ ისტორიულ ძეგლზე ხდება. ამის მიზეზი ისიცაა, რომ იქვე ახლომახლო არაა საზოგადოებრივი საპირფარეშო.

მოედანთან, სამთავროს მონასტრის შესახვევთან არსებული საპირფარეშო კი ისეთ საშინელ დღეშია და მიუხედავი, რომ ფაქტობრივად გამოუყენებელია. უბრალოდ, სირცხვილია.

# ხორვატიაში ერთწუთიანი ფილმების ფესტივალზე ქართველმა რეჟისორმა გაიმარჯვა



ხორვატიაში გამართულ ერთწუთიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ქართველმა რეჟისორმა ელენე სებისკვერაძემ გაიმარჯვა.

ელენე სებისკვერაძე განათლებით არქიტექტორია. ის 3 წელია, რაც ანიმაციის ჟანრში მუშაობს. ხორვატიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ქართველი რეჟისორი თავად ორგანიზატორებმა მიიწვიეს. ელენე ფილმის რეჟისორი და სცენარისტია.

უკვე 25 წელია, ხორვატიაში ტარდება ერთწუთიანი ფილმების ფესტივალი. წელს ფესტივალის ოქროს მედლის მფლობელი 26 წლის ქართველი რეჟისორი გახდა. მისმა ანიმაციურმა ფილმმა „პატარა ხოჭომ“ ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

კონკურსის ფარგლებში 450 სხვადასხვა ქვეყნის საკონკურსო ნამუშევრიდან 60 საუკეთესო ფილმი შეირჩა, რომელთაგან ქართველი რეჟისორის ნამუშევარი საუკეთესოდ აღიარეს.

ფესტივალზე დაწესებული პრიზები ასე გადანაწილდა: გრანპრი ესპანელმა რეჟისორმა მოიგო, ოქროს მედალი ქართველ რეჟისორს გადაეცა, ვერცხლის მედლის მფლობელი ბოსნია-ჰერცეგოვინის წარმომადგენელი რეჟისორი გახდა, ხოლო ბრინჯაოს მედალი ფესტივალის ჟიურიმ ბრაზილიელ რეჟისორს მიაკუთვნა.

# იტალიაში მსოფლიოში საუკეთესო ნაყინი შეარჩიეს

იტალიაში მენაყინეთა კონკურსის შედეგები შეაჯამეს. შეჯიბრების შედეგები კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის ტვიტერში იქნა განთავსებული. მასში ასევე მოყვანილია კონკურსის მონაწილეთა შთაბეჭდილებები.

კონკურსში პირველი ადგილი იტალიელმა ალესანდრო კრისპინიმ დაიკავა, რომელმაც ფისტაშკის ნაყინი დაამზადა. მისი თქმით, მან დესერტისთვის სამი სახის სიცილიური ფისტაშკი გამოიყენა.

მეორე ადგილი გიდო და ლუკა დე როკოებს მიეკუთვნათ, რომლებიც გერმანიაში ცხოვრობენ. მათ ჟიურის ყურძნის სორბეტი წარუდგინეს კარამელიზირებული თხილით.

სულ კონკურსში 19 ქვეყნის 36 მენაყინე იღებდა მონაწილეობას, რომლებმაც შესარჩევ ტურებში გაიმარჯვეს. შეჯიბრების ფინალური ეტაპი რიმნიში გაიმართა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ქალიშვილი ნათელა, და ნუნუ, შვილიშვილები ხათუნა, ნათია, სიძე თემურ ფარჯანაძე, ლაშა პაპაშვილი, შვილთაშვილები ელენე, გიორგი, ანასტასია, ნინო, მარიამ, სოფიო, ელისაბედი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დოდო კიკნაველიძე**

პანაშვიდი: 12, 13 სექტემბერს, 17 საათიდან, ქ.თბილისი, ნასიძის №11.

გამოსვენება: 14 სექტემბერს, 15 საათზე, ვაკე-საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# „რა? სად? როდის?“ მოთამაშე დავით ჩარგაზია გარდაიცვალა




ინტელექტუალური კლუბის თამაშის „რა? სად? როდის?“ მოთამაშე დავით ჩარგაზია გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მისმა კოლეგამ და გუნდის კაპიტანმა ბაჩანა შენგელიამ გაავრცელა:

– დიდი ადამიანი დააკლდა ზუგდიდს დავით ჩარგაზიას სახით. ინტელექტუალი, „რა? სად? როდის?“ სატელევიზიო თამაშის გამორჩეული, არაორდინარული მოთამაშე, თავისი ქვეყნისა და ქალაქის უსაზღვროდ მოყვარული, საოცრად განათლებული ადამიანი და უბრალოდ კარგი მეგობარი. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ გავიცანი ზუგდიდში, ყველასგან განსხვავებული იყო, თითქოს დიდი ბავშვი იყო, რომელშიც, უდიდეს ინტელექტთან ერთად, ბავშვური გულუბრყვილობა და სიალალე იყო გაერთიანებული.

შემდეგ იყო მისი ტრიუმფალური თამაშები, გამორჩეულად მახსოვს 2008 წლის სეზონი, როდესაც მის მიერ აღებული გადამწყვეტი კითხვით, პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ ზუგდიდის გუნდის სახელით. შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, მან თამაშს თავი დაანება, თქვა, 50 წლის გავხდი და არ მიხდება უკვეო...

ვერ წარმომიდგენია, დღეს როგორ უნდა მივიდე მის სამძიმარზე და ბედნიერი სახით არ მითხრას, როგორ ხარ, კაპიტანო! არ მომიყვეს რამე ძველი ისტორია, თუნდაც უკვე არაერთხელ მოყოლილი, არ მოიკითხოს ჩვენი გუნდის წევრები, არ მიმოიხილოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, არ გააკეთოს თავისი უბადლო შედარებები და გონებამახვილური, მწარე ქარაგმებით არ შეამკოს მავანნი.

ჩემთვის ძალიან გამორჩეული ადამიანი იყო, უამრავი ისტორია მაკავშირებს, უამრავი მოგონება, რაღაც თითქოს ძალიან დიდი მომწყდა და წავიდა ამქვეყნიდან... მშვიდობით, ჩემო უფროსო მეგობარო, მსუბუქი იყო შენთვის უსაყვარლესი ქვეყნის მიწა...

# ვარძიის ღვთისმშობლის ტაძრის თამარ მეფის ფრესკა პირვანდელ სახეს იბრუნებს



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში 2016 წლის 31 ოქტომბერს მომხდარი ხანძრისგან დაზიანებული ფრესკების გაწმენდით სამუშაოებს აგრძელებს. თბილისის სამხატვრო აკადემიის კონსერვატორ-რესტავრატორების ჯგუფის 9-თვიანი სამუშაოების შედეგად ტაძარში თამარ მეფის ფრესკამ ხანძრამდელი მდგომარეობა თითქმის აღიდგინა. ამ ეტაპზე სპეციალისტები კვლავაც აგრძელებენ კედლის მხატვრობის ფორების ღრმად ჩამჯდარი ჭვარტლის მიკრონაწილაკებისგან გაწმენდის პროცესს. სარესტავრაციო პროცესის მე-2 ეტაპის დასრულების შემდეგ სპეციალისტები დაადგენენ გაწმენდითი პროცესის მე-3 ეტაპის იმ სამუშაო პროცედურებსა და მეთოდოლოგიას, რომელიც ღვთისმშობლის ტაძრის ფრესკებს შესაძლოა დასჭირდეთ.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კონსერვატორ-რესტავრატორების ჯგუფმა XII საუკუნის კედლის მხატვრობის რესტავრაციაზე მუშაობა 2016 წლის დეკემბრიდან დაიწყო. ხანძრის შემდეგ დაზიანებული ფრესკების აღდგენა ლონდონის კურტოს ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფის წევრებთან ერთად მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა.

თავიდანვე ადგილზე აღიწერა და შეფასდა ფრესკები, გაკეთდა სხვადასხვა სახის ტესტი, ერთობლივად შემუშავდა სარესტავრაციო მეთოდოლოგია და დაიგეგმა კედლის მხატვრობის გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოები. პროცესის დასრულების შემდგომ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო რესტავრატორთა ჯგუფისგან პრევენციული ღონისძიებებისთვის რეკომენდაციებს მიიღებს, რაც უახლოეს მომავალში ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ინტერიერში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის, ჰაერის გამწმენდის, ტენიანობისა და ტემპერატურის დარეგულირებისა და სპეციალური განათების სისტემის მოწყობას გულისხმობს.

რესტავრაციის დამასრულებელ ეტაპს, რომელიც დაზიანებული კედლის მხატვრობის კომპიუტერული ანალიზისა და მიკროსკოპული კვლევების საფუძველზე ჭვარტლის ნაწილაკებისაგან გასუფთავებას გულისხმობს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, სამშენებლო დეველოპერული კომპანია „მონოლით ჯგუფი“ აფინანსებს.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი 90 წლის იუბილეს ზეიმობს



14 სექტემბერს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი 90-ე საიუბილეო სეზონს გახსნის.

ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების დღეს დიდ სცენაზე გაიმართება მწერლის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები“, რომლის რეჟისორიც გიორგი თავაძეა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფოიეში წარმოდგენილი იქნება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

ახალი, 90-ე საიუბილეო სეზონის გახსნამდე თეატრი პოლონეთის ქალაქ შეცინში კამერული სპექტაკლების საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს. ფესტივალზე თეატრმა ითამაშა რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ თამაზ ბაძაღუას პიესის მიხედვით დადგმული მონოსპექტაკლი „ღამე და თუთიყუში“. სპეციალურად ფესტივალისთვის ქართულენოვანი სპექტაკლი რუსულ ენაზე მსახიობმა ნიკა ფაიქრიძემ ითამაშა. სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა.

90-ე საიუბილეო სეზონი მოზარდ მაყურებელთა თეატრში საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი იქნება. 22-24 სექტემბრის ჩათვლით თეატრის სამი სცენა დაეთმობა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს „სარჩობელაზედ“, „საუკუნის მკვლელობა“, „მგზავრის წერილები“, რომლებიც კლასიკოსის 180 წლის იუბილეს მიეძღვნება.

21 სექტემბერს სპექტაკლს „ღამე და თუთიყუში“ მსახიობი ნიკა ფაიქრიძე რუსულ ენაზე ითამაშებს, 29 სექტემბერს კი მცირე სცენაზე პრემიერა გაიმართება. პატარა მაყურებლისთვის რეჟისორი დავით ნიკოლაძე წარმოადგენს რუსულენოვან სპექტაკლს „თაგვები და ყველი“.

90-ე საიუბილეო სეზონი პრემიერების გარეშე არ ჩაივლის. ერთ-ერთი პირველი პრემიერა ოქტომბერშია დაგეგმილი. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლ „სეილემის პროცესის“ პრემიერა შედგება.

ახალი სეზონიდან მაყურებელს არაერთი პრემიერა ელის. თეატრი რამდენიმე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზეც არის მიწვეული.

საიუბილეო სეზონის განმავლობაში მოზარდ მაყურებელთა თეატრი მომხმარებელს სიახლესაც სთავაზობს. მათ ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით დაყოფილი აბონემენტების შეძენისა და წარმოდგენების არჩევის შესაძლებლობა ექნებათ – ცეროდენა 2-10 წლამდე, მეგობარი 11-15 წლამდე და თეატრალი 15 წლიდან. თითოეული კატეგორიის აბონემენტი მომხმარებელს ოთხი ან ნაკლები სპექტაკლის არჩევის შესაძლებლობას მისცემს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# პროგრამა

**ოთხშაბათი 13 სექტემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 21.25** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 02.55** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** ევრობასკეტ- 2017 **13.00, 03.55** დღის მხ/ფ "**ბრწყინვალება ბალახში**" (ნ.ვუდი) **15.00, 05.20** დოკ/ფ "კაცობრიობის განვითარება" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **19.35 კალათბურთი** ევროპის ჩემპიონატი. **1/4** ფინალური მატჩი პირდაპირი სტამბოლიდან **22.00** "სპორტის დაფა" **22.20 კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. **1/4** ფინალური მატჩი პირდაპირი სტამბოლიდან. **00.10** მხ/ფ "**მთელი სამეფოს ამალა**" (ჯ.ლოუ) **02.15** მხ/ფ "**განქორწინება**"

**06.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა **10.10** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**შვიდი ფსიქოპათი**" **02.20** მხ/ფ "**მომკალი სამჯერ**" **04.05** მხ/ფ "**მილიონერი ღარიბთა უბნიდან**"

**06.00** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **20.03** სერ. "**დედამთილი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **01.30, 02.30** მხ/ფ **03.15** კურიერის დაიჯესტი **04.30** მხ/ფ

GDS **08.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები 2**" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **13.00** სერ. "**ძვლები-5**" **15.00** სერ. "**ძვლები 6**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: ეჭვმიტანილის ქცევა**" **1-2** სერ. **21.00** სერ. "**სპირალი**" **22.30** მხ/ფ "**ტომას კრაუნის აფერა**" **00.45** მხ/ფ "**მეხუთე ხელისუფლება**" **03.05** მხ/ფ "**ეშმაკის ადვოკატი**" **05.40** მხ/ფ "**სირიანა**"

იბერია **08.00** ანანდა **08.05** მულტფილმი **08.15** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **08.40, 21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **09.40, 22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.00** ახალი ამბები **12.00, 3.20** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 02.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 4.00** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 5.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **23.00** სახალხო კონტროლი **00.30** მხ/ფ

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "თირის სამონასტრო კომპლექსი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ცაში მოლივლივე არსებები" **09.05** "განთიადი" კოლაჟი **10.10** ეპოქა და ადამიანები "დავით სარაჯიშვილი" **10.40** დ/ფ "ველური ბუნება-ცხოველების მოყვარულები" **11.10** მიწათმოქმედი "სათბურები" **11.25** მგზავრები წუთისოფლისა "ახალდაბა" **12.10** ღია აუდიტორია "ჯანგირ ელიაშვილი" **13.00** გაცოცხლებური წარსული "სვეტიცხოვრის გუნდი" **13.30** ან/ფ "ფიფქია და 7 ჯუჯა" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული საჭურველი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ჩვენი ფონდი "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო" **15.50** აქტუალური თემა "ცრუ სწავლება" **16.10** კონცერტი **17.10** ერთსულოვანი ოჯახი "ქურდიანები" **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ესაია" II ნაწ. **18.10** მოგზაურობა სამშობლოში **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **20.35** ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" **21.20** ქვიშით ნაამბობი "წმინდა მეფე თამარი" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "ცინცაძეების ოჯახი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**ადგილის დედა**" **23.35** ღვთის სახლი "ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი" **00.30** დ/ფ "გემლერებოდეს დედაო"

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4616 |
| ევრო | 2.9569 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.253 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3088 |

## ამინდის პროგნოზი 13 სექტემბრისთვის




## 12 სექტემბრიდან




ქართული დეტექტივი

მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 13 სექტემბრიდან

### ქართული ჰაგიოგრაფია




წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 14 სექტემბრიდან




### ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 15 სექტემბრიდან

### ედუარდ ლირი

### ბუკნაქო და ფისუნია




კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## სადიო მანემ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო



ლივერპულის კოტდიუვარელმა ფორვარდმა სადიო მანემ მანჩესტერ სიტის მეკარის წინააღმდეგ უხეში თამაშის გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. მანემ ბრაზილიელ გოლკიპერ ედერსონს სახეში ფეხი ჩაარტყა და, მიუხედავად იმისა, რომ მანეს განზრახ არ უუხეშია, ის მოედნიდან გააძევეს. ლივერპულის ფეხბურთელმა თავის ინსტაგრამის გვერდზე ოფიციალურად ბოდიში მოუხადა ედერსონს და კარგად ყოფნა უსურვა. ედერსონს სახეზე ჯერ კიდევ ემჩნევა მანესთან შეჯახების კვალი, თუმცა მისი ტრავმა სერიოზული არ არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ერთი დაქალი მეორეს უყვება:

– როდესაც იმ ყმაწვილმა ისევ დამიწყო ხელების ფათური, პირდაპირ ვუთხარი, რომ მისი დანახვაც კი არ მინდოდა.

– მერე, იმან რაო?

– ადგა და შუქი გამორთო.

●●●

კაცი მდინარის პირას მიდის და ხედავს, ვიღაც მდინარიდან ცალი მუჭით წყალს იღებს და სვამს. კაცი უყვირის:

– რას აკეთებ, ნუ სვამ მაგ წყალს, ბინძური წყალია, ნაგავს ყრიან, ნარჩენებითაა სავსე, თევზებიც კი აღარ არის მაგ მდინარეში.

კაცმა ჩინურად უპასუხა რაღაც:

– რას გეუბნები და ორივე ხელით უნდა ამოიღო წყალი და დალიო! ორივე ხელით!

●●●

მუშაობის დაწყების მსურველს საწარმოს დირექტორი ეუბნება:

– თქვენი ადეკვატურობის ხარისხი ამიწერეთ.

– სელფებს არ ვიღებ.

– მიღებული ხართ!

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– დასვენების დღეებისთვის ნურაფერს დაგეგმავთ!

– ექიმო, იქნებ უბრალოდ დიაგნოზი მითხრათ...

●●●

კინოთეატრიდან გამოსულ ერთ მეგობარს, მეორე ეკითხება:

– აბა, რას მეტყვი ამ ფილმზე?

– პოპკორნი ჯობდა.

●●●

ფსიქიატრიულში ავადმყოფები ტელევიზორში ახალ ამბებს უყურებენ. უცბად ერთი ამბობს:

– კიდევ კარგი, რომ ფსიქიატრიულში ვარ!

მის ზურგს უკან მდგომმა სანიტარმა ჩაილაპარაკა:

– ჰოო... როგორც ჩანს, ეს უკვე გამოჯანმრთელდა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ამბობენ, რომ დეპუტატი ხალხის მსახურიაო, მართალია?

– მართალია.

– მაშინ ვერ გამიგია, მსახური ხელშეუხებლობის გარანტიით რატომ უნდა სარგებლობდეს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 7 სექტემბრიდან




### რჩეული ქართული ზღაპრები

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## კარიმ ბენზემა რეალთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს



მადრიდის რეალის ფორვარდი კარიმ ბენზემა მალე რეალთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომლის მიხედვითაც ის სამეფო გუნდში 2021 წლამდე დარჩება. კონტრაქტში ასევე აღნიშნულია ბენზემას სატრანსფერო ფასი, რომელიც მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალი მის გაყიდვას უახლოეს წლებში არ აპირებს. ბენზემა რეალის ღირსებას 2009 წლიდან იცავს. მას შემდეგ მან რეალთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ამჟამად ბენზემა ტრავმირებულია და მოედანს, სავარაუდოდ, ერთ თვეში დაუბრუნდება.

## კარლო ანჩელოტის ბაიერნის ყოფილი ფეხბურთელები აკრიტიკებენ



მიუნხენის ბაიერნის მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ბოლო პერიოდში ბევრი აკრიტიკებს, მათ შორის ბაიერნის ყოფილი ფეხბურთელებიც. ბაიერნის ლეგენდა პოლ ბრაიტნერმა, რომელიც ამ გუნდში 80-იან წლებში თამაშობდა, განაცხადა რომ ანჩელოტის იდეები არა აქვს და მის ხელში წინსვლა არ იგრძნობა. „ვფიქრობ, ბაიერნს ცვლილებები სჭირდება. გუნდი ერთ ადგილას არის გაჩერებული. გვარდიოლას პერიოდში ბაიერნი უკეთეს ფეხბურთს აჩვენებდა. ანჩელოტი ვალდებულია, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვოს“, – განაცხადა ბრაიტნერმა. ბოლო შეხვედრა ბაიერნმა სტუმრად ჰოფენჰაიმთან 0:2 წააგო.

## დიეგო სიმეონეს აზრით, ატლეტიკოს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია



მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ატლეტიკოს შეუძლია, ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. „ჩვენ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც ყოველთვის მზად არიან, მოედანზე ბოლომდე დაიხარჯონ და გუნდს წარმატება მოუტანონ. ჩემპიონთა ლიგის მოგება ურთულესია, მაგრამ, ვფიქრობ, ამის გაკეთება შეგვიძლია“, – განაცხადა სიმეონემ. ატლეტიკო ბოლო 4 წლის განმავლობაში ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მაგრამ ორივეჯერ მას რეალმა აჯობა და საბოლოოდ სიმეონეს შეგირდები მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდნენ.

## კროსვორდი ა




**შვეულად**: 1. იტალიის ნავსადგური ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე; 2. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 3. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 4. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 5. ქალაქ თბილისის მერი; 7. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 11. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 13. სატირული ხასიათის მიბაძვა; 15. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 16. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 18. ბამბის უხეში ქსოვილი, მიტკალი; 19. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი.

**თარაზულად**: 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის ცერემონიალი; 8. სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 9. ეკლესია, სამლოცველო; 10. სანადირო თოფის სასროლი წვრილი ტყვია; 12. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. ურუგვაის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 17. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 20. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 21. პატარა, იუმორისტული საესტრადო პიესა; 22. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 23. კინოცენტრი იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*